საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეგური სიფცვაა, ფცუილებით და ჯორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 2015 წელი.

№211 (7856)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

„ცრუსთავი-2“-ს იგივე მანძილი აშორებს მართალი, თავისუფალი სიტყვისგან, რა მანძილიცაა დედამიწიდან მეცხრე ცამდე. საშოგლოს სხეულზე გაჩენილ იარებს იგი მალამოს კი არ აშველებს, პირიქით, მარილს აყრის, რათა ქვეყანაში რაც შეიძლება ხმაურიანი ისოდეს ვაი-ვიში, როგორც ნაცმოძრაობის ბნელი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება, აკი თავადვე უტიფრად აცხადებენ, ხელისუფლება საზოგადოებასთან ერთად უნდა შევცვალოთო!

გავიხსენოთ, როგორი სულხან მოლაშვილი შევიდა ციხეში და როგორი გამოვიდა. როგორები შევიდნენ ციხეში ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა... და როგორ გამოიყურებიან... პარადოქსია!!!

3

სულხან მოლაშვილი:

პასუხი აგებინეთ ჯალათ ბოკერიას!!!

გაცილებით სისხლიანი იქნება ის, რასაც ნაციონალები აწი გააკეთებენ



დაუმარხავი მაოხარი

4

ესენი ისინი არიან და ისინი ესენი?!

5

კითხვის ნიშანი იმიტომ კი არ დავუსვი სათაურს, რომ მეეჭვება რაიმე. არა, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დილემის წინაშე დგას: ვერ გაურკვევია, მართლა თვისებრივად ახალი ხელისუფლება ავირჩიეთ 2012 წლის ოქტომბერში, თუ ისევ ძველი შემოგვაპარეს ახლებური სამოსელითა და რიტორიკით.

გელა ნიკოლაიშვილი:

ადვოკატმა პაატა სალიამ „რუსთავი-2“-ის ადვოკატებს სამართლებრივად მიუგო

„— ურთმელიძეს კონსტიტუცია არ დაურღვევია. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მოსამართლემ ჯერ 3 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი-2“-ის წილები პირდაპირ მიაკუთვნა ქიბარ ხალვაშს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეაჩერა.

ხალვაშის დაცვის მხარის ადვოკატმა პაატა სალიამ „რუსთავი-2“-ის 8 თუ 10 ადვოკატს სამართლებრივად მოუგო, როდესაც მან საპროცესო კოდექსში გამონახა მუხლი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა იგივე განხორციელებულიყო — აქცენტი გააკეთა სსკ-ს 271-ე მუხლზე, სადაც წერია, რომ სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რაც მოსამართლემ ვადებში დააკმაყოფილა.

როცა „რუსთავი-2“-ის ადვოკატები და გულშემატკივრები ამბობდნენ, ასეთი კანონი არ არსებობს, ურთმელიძემ გამოიგონაო, დღეს აცხადებენ, ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი, რომ მან ეს მუხლებიც ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადოსო, მაშინ ჩნდება კითხვა, თუ ეს მუხლები არ არსებობდა, მაშინ რისი შეჩერება და გაუქმება მოითხოვეს? თუ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, რომ ეს მუხლები და ურთმელიძის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაშინ ჩათვალეთ, რომ გაიმარჯვებენ ყარამანიშვილები, ტელეკომპანიის გუშინდელი მმართველობა და „ნაციონალური მოძრაობა“: ეს გარკვეული ტესტია, რომელიც გამოაჩენს, არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო „ნაცმოძრაობის“ რუპორი. ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადახრილია „ნაციონალებისკენ“ და აშკარად მიკერძოებულია, გიგი უგულავას საკითხის განხილვამ დაადასტურა — კოსმოსური სისწრაფით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ერთი დღით მაინც მოხერხებულიყო მისი გარეთ გამოყვანა. ამის მიუხედავად, არა მგონია, საკონსტიტუციო სასამართლომ აშკარა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს და ყველასთვის ცხადი გახადოს თავისი მიკერძოებულობა“.

ლუგარის ლაბორატორია

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება 96 მილიონი ლარით გაიზრდება. შესაბამისი წინადადებით ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მინისტრთა კაბინეტს გუშინდელ სხდომაზე მიმართა, სადაც 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიც წარადგინა.

„100 მილიონი ლარით შემცირდება საგარეო დაკრედიტება და აღნიშნული თანხებიდან 96 მილიონი ლარით გაიზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება“, — განაცხადა მან.

მინისტრმა აღმასრულებელ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, წარმოდგენილი ცვლილებები პარლამენტს მიმდინარე კვირასვე გადაუგზავნოს. ფინანსთა მინისტრის თხოვნის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა წარმოდგენილ პროექტს მოიწონებს, რის შემდეგადაც განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება.

ამასთან ერთად სხდომაზე ნოდარ ხადური სამთავრობო უწყებებში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხს გამოეხმაურა.

,,კარგი იქნებოდა იმ ექსპერტს, რომელმაც ეს დაწერა, რომ უწყებების შრომის ანაზღაურება დაახლოებით 57 მლნ. ლარით იზრდება, ჩაეხედა ბიუჯეტში, რა ხდება და მერე ისე გაევრცელებინა ეს ინფორმაცია. ადგილობრივი თვითმმართველობებიდან სახანძრო და სამაშველო სამსახურების დაფინანსება გადმოდის ცენტრალურ ბიუჯეტში, შესაბამისად, შრომის ანაზღაურება აკლდება მუნიციპალურ ბიუჯეტებს და იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში“, — განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, 2016 წელი საარჩევნო წელია და შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება იზრდება.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობენ

მთავრობის ადმინისტრაციასთან „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა შიმშილობის აქცია დაიწყეს. როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე მთავრობის ადმინისტრაციასთან ხუთი ადამიანი შიმშილობს.

„კვირას აქციის შემდეგ დავიწყეთ შიმშილობა. ამ ეტაპზე ვშიმშილობთ 5 ადამიანი, კერძოდ, ჩვენი პარტიის ლიდერები — ადა მარშანია, ემზარ კვიციანი, გიორგი ლომია და მე. ასევე შემოგვიერთდა ჩვენი პარტიის მხარდამჭერი ლევან თედიაშვილი“, — განაცხადა ინაშვილმა.

მისივე თქმით, მოთხოვნებია, გადადგნენ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი, რომლებიც, ინაშვილის განცხადებით, უშუალოდ იყვნენ ჩართული შუალედური არჩევნების გაყალბებაში. ასევე, როგორც ინაშვილმა აღნიშნა, ისინი მოითხოვენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს საარჩევნო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მოკლე მიმართვა ქართველ პოლიტიკოსებს:

სიჩუმე მაღიზიანებს. მაღიზიანებს ლოდინის და ჩასაფრების პოლიტიკა.

თუ გულანთებული ხარ, დაჰკარი, თუ პრაგმატული ხარ, დღევანდელი სიტუაცია გამოიყენე, თუ რესურსებს უფრთხილდებით, ძალიან ცდებით, იმიტომ რომ ლოდინს ორ პოლუსზე გადაჰყავს ვითარება. თუ პოლიტიკა გინდათ და არა ადგილები საარჩევნო ორგანოებში, იმოქმედეთ. ჩვენ უძრაობა არ გვინდა.

● „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, არხის პოლიტიკის შეცვლის შესახებ არის კიდევ ერთი ბლეფი! ამის მაჩვენებელი იყო გადაცემა „ნიჭიერის“ განმეორებითი ჩვენება, რომელიც დღეს გავიდა ამ ტელეკომპანიის ეთერში.

თუ მათ სურდათ, შეეცვალათ თავიანთი „ფორმატი“, თავისუფლად შეეძლოთ, ამოეჭრათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის გამოსვლის ის კადრები, რომლებმაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ გამოჩნდა, რომ ამ დემოკრატიის და ცივილიზაციის ამ „მედროშეებს“ ზუსტად ისეთივე სადისტური შინაგანი ბუნება აქვთ, როგორც მათ რეალურ მეპატრონეს. ასევე მარტივად შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ შეიცვლება მათი სარედაქციო პოლიტიკა.

აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ურთმელიძეს მისი დასკვნის იმ ნაწილში, რომელიც არხის ფორმატს შეეხებოდა!

● თუ გვარამიამ არ დატოვა „რუსთავი-2“-ის შენობა, ჯერ ერთ წერილს გავუგზავნითო, ბრძანა ქ-ნმა თეა წულუკიანმა გადაცემა „პოლიტიკაში“, მერე მეორესო, მაინც თუ არ დატოვა შენობა, მერე უფრო მკაცრ წერილს გავუგზავნითო და აი მერე სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთო!

აუუუუ რა სისასტიკეა!!!

ერთ ჩემს ნაცნობ უმუშევარს (სხვათა შორის გვარამიაც უმუშევარია!) გამოუტანა სასამართლომ განაჩენი ქონების ჩამორთმევაზე (პატარა ჯიხური ჰქონდა და ჩეკის გაუცემლობისთვის ჯარიმა დაეკისრა) და იმას 6-ჯერ გაუგზავნეს წერილი, მერე მივიდნენ ყვავილებით, შამპანურით, ბამბანიორით და სთხოვეს — გემუდარებით დატოვეთ შენობაო.

(ახლა ამ ბოლო პასაჟზე არ მითხრათ მტყვანისო, არც ქართულ დემოკრატიაზე თქვათ რამე და არც ნაცების მიმართ მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე).

● მთელი სიყმაწვილე და ახალგაზრდობა, წყნარ, უდროშო, უტრანსფარანტო, ულოზუნგო, ჭადრებიან, ბორჯომიან და ლაღიძის წყლებიან რუსთაველზე გავატარე.

მერე დაიწყო და... — ჯერ გამსახურდიასთან დავწანწალებდი, მერე ტელევიზიასთან, მერე ჟვანია-ბურჯანაძესთან, მერე ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილთან, მერე „გრეჩიხებთან“, მერე ფორუმელებთან, მერე მეოცნებეებთან... საბოლოოდ კი, ხელში სამში (რესპუბლიკელები, ფორუმი, კონსერვატორები) ერთი, ყველაზე დიდი პარტია, — რესპუბლიკელები — შემრჩა.

დღეს ისევ დროშებიან-ტრანსფარანტებიან-ლოზუნგებიანი ხალხი მიაბიჯებდა რუსთაველზე.

მე მეყო! ჩემი წილი ვისიამოვნე და — კმარა!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

მოგერინის ჩამოსვლას „რუსთავი-2“-თან არაფერი საერთო არა აქვს

ვიზალიბერალიზაცია ეხება არა მარტო ქალბატონ მოგერინს, არამედ ეს მთელი ევროკავშირის საკითხია, — ამის შესახებ მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განუცხადა, რითაც უპასუხა შეკითხვას, რამდენად შესაძლებელია „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

„ქალბატონი მოგერინის საქართველოში ვიზიტი დიდი ხნით ადრე დაიგეგმა, ვიდრე შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული საკითხი ამ დონეს მიაღწევდა, ამიტომ არანაირი საერთო მოგერინის ჩამოსვლას „რუსთავი-2“-თან არა აქვს, თუმცა ბუნებრივია, ქვეყანაში არსებული პრობლემები მისი ინტერესების სფეროში იქნება. ქალბატონი მოგერინი ჩამოდის იმიტომ, რომ საქართველოში ხვალიდან სერიოზული კონფერენცია იწყება, რომელიც სწორედ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობას და გენდერულ საკითხებს შეეხება. რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ვიზალიბერალიზაცია ეკუთვნის არა მარტო ქალბატონ მოგერინს, არამედ ეს მთელი ევროკავშირის საკითხია და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გვაქვს გადადგმული. ყველა საშინაო დავალება შესრულებულია. წლის ბოლომდე ველოდებით შეფასებას“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის აზრით, ვიზალიბერალიზაციის პროცესის ინსტიტუციური დასრულების შემდეგ, საქართველოს პასპორტების მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან ინტერესი გაიზრდება.

◎ პროგნოზი

ჩვენ უფრო „რბილად“ დავეცით

მუმაპვალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ არსებული ინფორმაციით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, გაისად ეკონომიკური ზრდის ტემპმა 3 პროცენტი უნდა შეადგინოს.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ თავსითავად ზრდა, მით უმეტეს მრავალი შიდა და, მით უმეტეს, გარე დამაბრკოლებელი მიზეზის პირობებში, დიდად სასიმოვნო კია, თუმცა, როგორც ჩანს, ინდიკატორი პარამეტრის მისაღწევად მთავრობას მაინც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ამას ავტორიტეტული საფინანსო ინსტიტუტებიც აღნიშნავენ კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა **აზიმ სადიკოვმა** ამ ორგანიზაციის ანგარიშის წარდგენისას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა, რომ 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 2 პროცენტს გადააჭარბებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაღალჩინოსნის განცხადებით, საქართველოში არსებული პრობლემების მიზეზი ინვესტიციების და კერძო ფულადი გზავნილების დონის საგრძნობი კლებაა, რის გამო მოხმარებაც შემცირდა, თუმცა კი არსებობს მთელი რიგი პოზიტიური ასპექტი, რომელთა გათვალისწინებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეკონომიკური ზრდა მდგრადი ტენდენციაა და ის ორ-პროცენტიან ზღვარს გადააჭარბებს. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის ტემპი უფრო მაღალი იქნება.

სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკების შედარებისას, ბატონმა აზიმ სადიკოვმა სამი გლობალური შოკი დაასახელა, რომელმაც ეკონომიკური წინსვლის ტემპი შეანელა. ესენია, კერძოდ: **მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კლება ბარელზე 110-დან 50 დოლარამდე და მეტად, რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპის საგრძნობი შენელება და სავალუტო რყევები, ანუ ვალუტების გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილებები.**

დოლარის მიმართ ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით, მან გარეშე ფაქტორების, მათ შორის, თურქეთსა და რუსეთში ეროვნული ვალუტების გაუფასურება დაასახელა, მით უმეტეს, რომ თურქეთი, მთლიანი მოცულობით, საქართველოს საგარეო პარტნიორთა ნუსხაში მეორე ადგილზეა.

— ყველაფრის მიუხედავად, ლარის გაუფასურება ბევრად უფრო მდორედ წარიმართა და შედარებით რბილი იყო, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტების კურსის შემცირება, — განაცხადა ბატონმა სადიკოვმა.

ოთარ ტურაბელიძე

სულხან მოლაშვილი:

პასუხი აგებინეთ ჯალათ ბოკერიას!!!

გაცილებით სისხლიანი იქნება ის, რასაც ნაციონალები აწი გააკეთებენ

ძართული მართმსაჯულების შეფასებისთვის შეიძლება ასეთი მაგალითი გამოვიყენოთ: გავიხსენოთ, როგორი სულხან მოლაშვილი შევიდა ციხეში და როგორი გამოვიდა. როგორები შევიდნენ ციხეში ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა... და როგორ გამოიყურებიან... პარადოქსია!!!

კონტროლის პალატის ყოფილი უფროსი პოლიტიკური დევნილის სტატუსით, დღეს თავს ევროპას აფარებს, თუმცა, ის აუცილებლად აპირებს სამშობლოში დაბრუნებას ოღონდ, ჯერ არ იცის, როდის და როგორ... ნომრის სტუმარია სულხან მოლაშვილი:

— სააკაშვილის პერიოდის პენიტენციალური სისტემა იყო სახე იმისა, რაც ჩვეულებრივ ახასიათებს ხოლმე სისხლიან ავტორიტარულ რეჟიმს, ხოლო ახლანდელი სასჯელაღსრულება — სახეა დემოკრატიის გზაზე მდგარი სახელმწიფოსი... თუმცა, ძალიან ბევრი ავტორიტარული სახელმწიფო შემიძლია დაგისახელოთ, სადაც ისეთი საშინელებები არ მომხდარა, როგორიც სააკაშვილისეულ ქართულ ციხეებში ხდებოდა. ფაშისტებიც კი, შედარებით ლმობიერები იყვნენ საკუთარი მოქალაქეების მიმართ...

— მაგრამ დღეს ბევრი იმასაც ამბობს, რომ ციხის კადრები, რომელიც სოციალური მედიით გავრცელდა, დადგმული იყო...

— არ შეიძლება, ყველგან, ყველა ციხეში კადრები დადგმული ყოფილიყო. ასეც რომ იყოს, რა ვთქვა იმ ეპიზოდებზე და იმ საშინელებებზე, რომლის მოწმეც პირადად გახლავართ. ვგულისხმობ 2004-2006 წლებს. გაგახსენებთ, რომ უკვე 2004 წელს საქართველოს ცენტრალურ საგამოძიებო იზოლატორში, ეგრეთ წოდებულ პირველ ციხეში მასობრივად ილახებოდა ადამიანის უფლებები. მე არ ვგულისხმობ ისეთ უფლებებს, რომელიც ეხება ვთქვათ, მიმოწერის აკრძალვას, ან პაემნის შეზღუდვას, პრესასთან ნაკლებად ხელმისაწვდომობას და ა. შ. ასეთ რამეს ადამიანი უძლებს და სიცოცხლისთვის საშიში არ არის... მაგრამ სააკაშვილმა და პენიტენციალური სისტემის მაშინდელმა მესვეურებმა სპეციალურად შექმნეს ისეთი რეჟიმი, რომ ადამიანებს საკანში სუნთქვის საშუალება არ ჰქონოდათ. ჩემი თვალით მაქვს ნანახი (და ამას დაადასტურებს ათობით ადამიანი, უბრალოდ გამოკითხვა და დაკითხვა სჭირდება პროცესუალურად), რომ ერთ საკანში, რომელიც 20 კვ.მ. იყო, მოთავსებული იყო 100-120 კაცი. იქვე იყო „პარაშა“ ე. წ. საპირფარეშო, აბანო, სადაც ცივ შხაპს იღებდნენ ბიჭები, იქვე ირეცხებოდა სარეცხი და იქვე ეძინათ ე. წ. „სმენკაში“. როცა ზოგიერთი რიგითობით ძილს ვერ უძლებდა, მხარ-ბეჭზე ქამრებს იმაგრებდნენ, „შკონკაზე“ აბამდნენ და ფეხზე მდგარი ცხენივით იძინებდნენ. სინესტის, სიგარეტის კვამლის, საჭმლის ორთქლის გამო ჭერიდან გამუდმებით წვეთავდა ოფლის, ოხშივრის, სიცხის, საპირფარეშოს... გაერთიანებული ნაჟური. ორი კვირაც საკმარისი იყო, რომ ადამიანი სერიოზული ტუბერკულოზით დაავადებულიყო... მეორეც, **ბუნტის შაძტი მინდა გავიხსენო, რომელსაც თითქმის მთელი მთავრობა ახორციელებდა გიგა ბოკერიას მეთაურობით (რომელსაც ფუნძციურად არანაირად არ ევალებოდა იქ ყოფნა, უბრალოდ, გამოძიების დასადგენია, იქ რას აკეთებდა), მათ ჩაიდინეს საშინელება იმიტომ, რომ გამომწყვდეულ ადამიანებს „კარმუშკებიდან“ იარაღს ესროდნენ და ისე ხვრეტდნენ ბიჭებს.** ძალიან დიდი ტყუილია ის, რომ იმ დღეს მხოლოდ 8 კაცი გარდაიცვალა. მე მაშინ „რესბალნიცაში“ ვცხოვრობდი და ფანჯრების წინ იყო რესპუბლიკურის მორგი, სადაც მარტო იმ ღამეს, ათობით ადამიანის გვამი შეიტანეს, ვიდრე გათენდებოდა...

— ამ ადამიანების ჭირისუფლები ხმას რატომ არ იღებენ?

— ზოგი გააჩუმეს, ზოგი პრესის ფურცლებამდე არ მიუშვეს, გადაასახლეს, გააქციეს, მოისყიდეს... იმის საშუალებაც კი არ მისცეს მაშინ, რომ ეს გარდაცვლილი ადამიანები ერთი სამგლოვიარო პროცესიით დაესაფლავებინათ. როგორც ვიცი, იყო ამის მცდელობა, ჭირისუფლებს ჰქონდათ ამის სურვილი... **ბუნტის კადრები უამრავმა ადამიანმა იხილა. ამიტომ, დღესაც ადვილია იმის დადასტურება, რომ მაშინ მთავრობა იძცეოდა დანაშაულებრივად.** მათ საქციელში იყო დიდი და სერიოზული კრიმინალის ნიშნები... რომ არაფერი ვთქვათ, გაუპატიურებასა და მასობრივ წამებაზე...

— მაშინ, 2004-2006 წლებში, ხდებოდა გაუპატიურებები?

— არა, მაშინ ამის შესახებ არ მსმენია, მაგრამ არანაკლები საშინელებები ხდებოდა, როცა ციხეში იხოცებოდა ხალხი. დღემდე არ ჩატარებულა გამოძიება ვეკუას ჩამოხრჩობის ფაქტზე, თეთრაძის წამებაზე, გიორგი ზერეკიძის მამის გარდაცვალებაზე (ვითომ ყავის მადუღარასთან არაფრთხილი დამოკიდებულების გამო, ზერეკიძეს, ამ 10 წლის ბავშვს, მიხეილ სააკაშვილმა 10 წელი მიუსაჯა პირდაპირ ეთერიდან)... ასეთი ფაქტი უამრავია.

და მესამე, რაზეც მინდა, გესაუბროთ: გვამების გატანის და დამუშავების საშინელი ამბავი. ამაზე არაერთხელ განვაცხადე პრესაში. თუმცა, სამართალდამცავთა დაინტერესება არ მოჰყოლია. გვამებს ყველა ორგანოს აცლიდნენ ისე, რომ ჭირისუფალს ექსპერტიზის ჩატარება გასჭირვებოდა და გარდაცვალების რეალური მიზეზი არ დაედგინათ.

— დიახ, თქვენ ამ კონტექსტში ხელს ადებთ ვინმე „სომეხას“. ხომ არ იცით, ახლა სად არის?

— დიახ, ე. წ. „სომეხა“ აკეთებდა ამ საშინელებას. ის პედოფილიაზე იყო ნასამართლევი. მგონი, ახლაც სასჯელს იხდის, რადგან, თუ არ ვცდები, სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ის ამას აკეთებდა 2-3 კოლოფი სიგარეტის, ან დაპურების საანაცვლოდ. იცით, საინტერესო რა იყო? ეს კაცი და კიდევ რამდენიმე სიკვდილმისჯილი 26 მაისის მიტინგზე ვნახე, ჩვენს რიგებში იყვნენ...

— ეს რას ნიშნავს?

— დიახ, მიტინგზე პროტესტანტების რიგებში იყვნენ, დროშა ეჭირათ... ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს ადამიანები ჩვენს შორის დავინახე. ეტყობა, სამართალდამცავებს დასჭირდათ, მათი ჩვენს რიგებში ჩანერგვა (თითქოს არ ყოფნიდათ გარეთ მყოფი ზონდერები და ჯალათები). ჩემი გაპროტესტების და ყვირილის შემდეგ, ისინი გაქრნენ...

მოკლედ, მე რისი თქმა მინდა იცით? მონდომების შემთხვევაში, ძალიან მარტივია, დაადგინო ის, ვინ ახდენდა ამის ორგანიზებას და გამოააშკარავო. ამ ხრივ დამნაშავე პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა...

— ჩვენ ვიცით, რომ ამ დანაშაულის სათავეში არიან სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი... მაგრამ, როგორც ამბობენ, დღეს ძალოვან სისტემაში ბევრი ისეთი ადამიანია, ვინც უსიტყვოდ ემსახურებოდა რეჟიმს და უსამართლო დავალებებს ასრულებდა. ხომ არ შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული სახელი და გვარები?

— სამწუხაროდ, სახელი და გვარები არ ვიცი, მაგრამ სახეზე ყველას ვიცნობ. თუმცა, არც მათი იდენტიფიკაცია გამიჭირდება...

— მოსამართლე ლევან მურუსიძემ, რომელიც დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანია, თქვენი განაჩენი გამოიტანა...

— საერთოდ, იუსტიციის საბჭოში უამრავი მოსამართლეა, რომელსაც საზოგადოებამ შეიძლება ასეთი ბრალი წაუყენოს. მათ მართლმსაჯულებაში ბინძური მეთოდებით აფათურეს ხელი. მათი თანხმობით, სააკაშვილის დროს ფასი დაკარგა ყოველგვარმა კანონიერებამ. თუკი, ეს იუსტიციის საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, რომელსაც აყალიბებს მართლმსაჯულების კორპუსი, პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთად, მაშინ ისმის ბუნებრივი შეკითხვა, ნუთუ ყველამ ერთად მოითათბირა, რომ იუსტიციის საბჭოში ასეთი მოსამართლეები იყვნენ თავმოყრილნი? თუ ესენი დიდხანს იქნებიან შენარჩუნებულნი, მაშინ სასამართლო სისტემასაც არაფერი ეშველება...

— ბატონო სულხან, მოსამართლე მურუსიძე ამბობს, რომ გასაგებია, მოლაშვილი ციხეში აწამეს, თუმცა, მე მის ბრალეულობასთან დაკავშირებით მივიღე კანონიერი გადაწყვეტილებაო... სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბევრი მაღალჩინოსანი დაიჭირეს, მაგრამ განსაკუთრებული სასასტიკით თქვენ გაწამეს... რატომ, რაიმე უფრო პირადულიც ხომ არ იყო?

— პირადული იყო იმდენად, რამდენადაც ეს სამსახურს უკავშირდებოდა. სააკაშვილს ჩემთან დამოკიდებულებაში ჰქონდა პირადი ანგარიშსწორების სურვილი მხოლოდ იმიტომ, რომ კონტროლის პალატამ შეამოწმა მისი უწყებები, სადაც განსაკუთრებული დარღვევები აღმოაჩინა. რატომღაც მაშინ ეს არ დაიჯერა ე. წ. „რეფორმატორების“ დიდმა ნაწილმა. მე ვიყავი თეთრი ყვავივით, რომელიც არ ვეპუებოდი მათ, არც ველაქუცებოდი და ვამბობდი სიმართლეს... მიხეილ სააკაშვილმა კატეგორიულად უარყო კონტროლის პალატის დასკვნები, გააქილიკა ისინი თავისი დემაგოგიური განცხადებებით და ციფრები გააყალბა. მაგალითად, ჩვენ რვა ტონა ბენზინი კი არ ჩავასხით, 800 ლიტრიო. სინამდვილეში თავისი საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს ერთ-ერთ კერძო ორგანიზაციას ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშების დასამზადებლად 150 ათასი ლარი ჩაურიცხა.

იხ. 7 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ჩამორთმეული ქონება კიდევ სამ კერძო პირს დაუბრუნდება

„ჩამორთმეული, წართმეული ქონების დაბრუნების პროცესი გრძელდება. დღეს კიდევ 12 ავტომანქანას ვუბრუნებთ 3 კერძო პირს, რომელსაც 2010 წელს, მაშინდელმა ხელისუფლებამ იძულებით დაათმობინა. ასე რომ, ეს პროცესი გრძელდება და ჩვენ ამ მეტად რთულ საქმეს ეტაპობრივად ვაგვარებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რატომ არ გამოაქვეყნა სასამართლომ განცხადება „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული განჩინების შესახებ

მოსამართლე თამაზ ურთმელიძე იუსტიციის საბჭოს უმაღლეს სხდომაზე მიწვეული იყო არა ანგარიშის ჩასაბარებლად, არამედ „რუსთავი-2“-ის საქმესთან საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე , — ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ განაცხადა.

როგორც გვენეტაძემ აღნიშნა, ეს ემსახურებოდა გამჭვირვალობის პრინციპს. ამასთან, გვენეტაძის თქმით, მას ჰქონდა ურთმელიძესთან ორი კითხვა, კერძოდ — იყო თუ არა ზეწოლა მასზე და რატომ არ გამოაქვეყნა საქალაქო სასამართლომ განცხადება მიღებულ განჩინებასთან დაკავშირებით. ამასთან, გვენეტაძემ აღნიშნა, რომ თუ თამაზ ურთმელიძე საბჭოს სხდომაზე მივიდოდა, განჩინების შინაარსთან დაკავშირებით კითხვებს არ დასვამდა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ამ განცხადების ირგვლივ იუსტიციის საბჭოს წევრების მხრიდან კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს. საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი მოსაზრება და აღნიშნა, რომ მოსამართლე დაიბარეს გაუგებარი ფორმატით. ამასთან, ლევან მურუსიძემ კიდევ ერთხელ გამოთქვა პრეტენზია, რომ თამაზ ურთმელიძის საბჭოს სხდომაზე მიწვევასთან დაკავშირებით მან მედიის მეშვეობით გაიგო და საბჭოსგან ინფორმაცია არ ჰქონია.

„როგორც არ უნდა შეიფუთოს ეს სიტუაცია და ვთქვათ, რომ მოსამართლე არა გადაწყვეტილების შინაარსზე ისაუბრებდა, არამედ მას სხვა კითხვები დაესმებოდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი გარკვეული ანგარიშის ჩასაბარებლად დავიბარეთ საბჭოს სხდომაზე. რაც არ უნდა ვთქვათ, რომ ანგარიშის ჩასაბარებლად არ დაგვიბარებია, გვენეტაძის გადაწყვეტილება კატეგორიულად მიუღებელია. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის სწორად და კანონიერად განხილვას“, — განაცხადა ლევან მურუსიძემ.

საბჭოს კიდევ ერთ წევრის, კახა სოფრომაძის განმარტებით, მოსამართლის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განმარტებები უნდა გააკეთოს სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ.

იუსტიციის საბჭოს წევრის ევა გოცრიძის შეფასებით, მოსამართლე თამაზ ურთმელიძეზე არნახული ზეწოლა ხორციელდება. მისი თქმით, არავის აქვს უფლება, ფეხქვეშ გათელოს მართლმსაჯულების ინტერესი, რაც დანაშაულია.

საბჭოს ესწრებოდნენ საბჭოს არაწევრი მოსამართლეები. მოსამართლეთა ერთობის თავმჯდომარე მაია ბაქრაძემ, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარისგან ნინო გვენეტაძისგან პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცა. მან აღნიშნა, რომ მოსამართლე ქვეყანაში დაუცველია და ერთადერთი დადებითი, რაც მიმდინარე პროცესებში გამოიკვეთა, არის ის, რომ საბჭომ გაიღვიძა მოსამართლის დაცვის კუთხით.

ინტერპრესი

დაუმარხავი მაოხარი,

ანუ შტრიხები ცოცხალი გვამის პორტრეტისათვის

ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“



ტანმაღალი და სულმდაბალი არსება, ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, უფალმა „იქია“. მისი პოლიტიკოსობა საპნის ბუშტივით მაშინ გასკდა, როცა საკუთარი დანაშაულის მამხილებელ კადრებს ვიდეოფირებზე საკუთარი ხელით აფიქსირებდა. დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება.

ამერიკელი ბიძების ეს „დემოკრატიის შუქურა“, რომელიც თავის დროზე ფეესბეს ტუალეტებში ძღებოდა, შემდეგ ცეერუს ლაბორატორიაში ნეხვის ჭიისაგან კლონირებული უსულო არსება ისე გაიპარა საქართველოდან, ცუტუნ-დაშნაკებს რომ ეპარებოდათ სიბერეში, რომლის სახელი წესიერი ადამიანის ლექსიკაში არ ფიქსირდება. შემდეგ რუსი ივანოვის ხელით, რუსული „როგატკით“ შემოგვიგდეს ოკეანის გაღმიდან. სავალალო ისაა, რომ ეს ხდება დავით აღმაშენებლის ქვეყანაში, რომელმაც მცირერიცხოვანი ლაშქრით დიდგორში გაანადგურა ათჯერ მარვალრიცხოვანი მტერი და ქედი მოახრევინა თურქ-სელჩუკების უზარმაზარ კოაბლიციას.

მთელი მსოფლიო მოიარა საქართველოს შემარცხვენელმა ვიდეოკადრებმა, როცა გრანტიჭამია და ჰალსტუხღეჭია საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სააკიანთ ვაჟი ახალდაკლული პეტუხა-მამალივით მტვერში ფართხალებს. მერე კი, ქართველმა ხალხმა ელიას მთაზე, ახალი საყდრის კურთხევისას, ნარკოტიკებით გაბრუებული ნახა, მოწყვეტით რომ ჩაენარცხა პატრიარქის სავარძელში. მის სიბრიყვესა და ღორმუცელობას საზღვარი რომ არ ჰქონდა, თავად იხილა ხალხმა, როცა ბეშუმში ყოფნისას იმდენი მაღალკალორიული „კაიმაღით“ გასკდა, რომ ვერტმფრენში ჩაისვარა. სულ დორბლი აყარა ეკიპაჟს, ტუალეტი რატომ არ გაქვთო. აქოთებული საფრენი აპარატი შუახევში დასვეს. ახლა ძნელად სათქმელია, ვინ და რომელ უნიტაზში ჩარეცხა „ინტელექტუალური“ ნაცების აყროლებული ბელადი. ამ საზიზღრობის შემდეგ, ბეშუმში ნაცმოძრაობას ხუმრობით ტრაცმოძრაობა შეარქვეს. სასტუმრო „შერატონის“ აუზში, შუადღისას, ბათუმელებმა და ბათუმის სტუმრებმა საკუთარი დასასვლები თვალებით იხილეს, აქაც ნარკოტიკებით გაბრუებული მაღალი, როგორ წაეპოტინა მომღერალი ქალის „ტრუსიკს“ და ხალხის თვალწინ გაუპატიურება დაუპირა. ეს ინციდენტი გია ბარამიძის ტანსაცმლიანად აუზში გადახტომით და ფეხის ღრძობით ამოიწურა; ძუძუმოკვნეტილი ამორძალი უცხოეთში აფრინეს სამკურნალოდ. მთელმა საქართველომ ნახა, ქართული არხების პირდაპირ ეთერში რომ დაახეთქა, სომხური ეთნოსი და ქართველობა ერთი და იგივეაო. სავალალო ისაა, რომ ეს, მსუბუქად ვიტყვი, ნაგავიც მადიანად ჭამა თბილისის ინტელიგენციამ.

არაფერს ვამბობ იმაზე, თუ რატომ გამოურთეს იატალიაში ვიზიტის დროს მიკროფონი, როცა ჩვენი სახელმწიფო ენის ნაცვლად, ჩიქორთული ინგლისურით წაიმარიაჟა. აღარც იმით გავაღიზიანებ მკითხველს, საზღვარგარეთ სსრ კავშირიდან ჩასული ტურისტივით რომ დაალაჯებდა სავაჭრო ფარდულებში. მაშინ, როცა ჩვენი ხალხი, უბედური შემთხვევის გამო, დაღუპულებს გლოვობდა.

ჩვენს მოსახლეობას ისიც ახსოვს, აგვისტოს ომის დროს, რამდენი შესთავაზა რუს გენერალ ბორისოვს და სანაცვლოდ გორის დაბომბვა და სტალინის ძეგლის აფეთქება თხოვა. არც ის გვავიწყდება, რუსი სამშიდობოების სარდალმა კულახმეტოვმა სოლიდური თანხაც გამოძალა ცხინვალში შეჭრის ნებართვისათვის და შემდეგ გაიპამპულა. ცხადია, აღარც ის ახსოვთ, მაგარმა მიშამ, აგვისტოს ომის მესამე კვირას, ენგურჰესი რუსებს რომ ჩააბარა?! იქნებ მართლა არ იცის ჩიტმა ჩიორამ, მათმა მაღალმა ბენდუქიძე პუტინის ბრძანებით რომ გაამინისტრა. თუ არ იციან, მით უარესი.

შუადღისპირას, შუა თბილისში, შუა ქუჩაში მაღალის დაკვეთით გააგორეს აკადემიკოსი გურამ შარაძე, როცა მიშიკოს ლევილის მამულისაკენ გაექცა თვალი და ბატონი გურამი წინ აღუდგა. „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის სანაიას მკვლელობით კი ეს არხი ჯერ დააჩმორა და შემდეგ ოფლიან იღლიაში ამოიჩარა. მანამდე კი „იმედის“ ტექნიკა და ჟურნალისტები, ტექნიკურ მუშაკებიანად, ტექნიკურად მიმოლეწა, ხოლო შემდეგ მის ხელძღვანელს „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტია შეუქმნა და ოპოზიციად დაიკანონა. მაშინ მთავარი პროკურორის მოადგილე გვარამია იყო. ახლა რომ წრუწუნებს სიტყვის თავისუფლებაზე, მაშინ რატომ ჩაიგდო ენა?! რაც შეეხება თავისუფალ სიტყვას კომერციულ მასმედიაში, მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს, რადგან იგი არ არსებობს. რაც შეეხება „რუსთავი-2“-ის დამოუკიდებლობასა და თავისუფალ სიტყვას, ისე დაუმშვენდა ბლანჟე გვარამიას, როგორი დამოუკიდებელიც ეგ არის. „რუსთავი-2“ ცოცხალი, ანუ დაუმარხავი გვამის საკუთრებაა და მასზე არც გვარამიებს და არც ყარამანიშვილებს არავინ მიასუნინებდა. დარწმუნებული ვარ, ნამდვილი მეპატრონის ხელში თავისუფალ სიტყვას უფრო მეტი ასპარეზი მიეცემა, ვიდრე დღეს აქვს. მისი სარედაქციო პოლიტიკა ჩვენი ხალხის სამსახურში უნდა ჩადგეს, როცა თავს დაიხსნის სააკაშვილის კლანჭებისგან.

ახლა მაღალი ნიკუშას ოდესიდან უწევს „ინტელექტუალურ“ დახმარებას და მოძღვრავს: „ჩემი გმირი გიწოდე, ხელი გამოგიწოდე, გაიმარჯვებ, იცოდე, ჩემო ვაჟკაცო!“ როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ბლანჟებიანი სააკოვის ვაჟკაცია და დავალებას თუ შეასრულებს, ასოცირებულ გმირობაზე ხელსაც მოუწერს. ამისათვის ჯერ „რუსთავი-2“-თან რკინის კონსტრუქციები უნდა აღმართოს, ბარიკადებთან ბოევიკები შეკრიბოს, „მტერს“ ცხვირ-პირი დაულეწოს, თვითონ მსუბუქად დასისხლიანდეს, მოსაკლავად ვინმე ქალბატონი უნდა შეარჩიოს, უთუოდ დედა ანუ ბავშვიანი (ხალხი რომ გააგიჟოს), ბოევიკი უმალ აითესება და მკვლელობა ხელისუფლებას და ბიძინა ივანიშვილს დაბრალდება. კაცმა რომ თქვას, მეც კაი ვინმე ვარ. რა აქვს დასაწუნი შეთქმულებისა და არეულობის ამ მშვენიერ გეგმას, ნიკოლას დროინდელი რომ არ იყოს.

ისე იხაროს, მაღალო, შენმა ჯიშმა და ჯილაგმა, როგორი რეფორმატორიც შენ ხარ. რა ვუთხრა მისი ქართულის მასწავლებელს, თორემ ქართული წერა-კითხვა რომ ესწავლებინა, საშუალოდ მაინც, ოქროს მედალოსანი ჯავახიშვილში ქართულ წერაში ორს არ მიიღებდა, ჩაირიცხებოდა და პრეზიდენტი არა, მაგრამ კაცი მაინც გამოვიდოდა. თუმცა, არა! მაშინ კიევისკენ გზას ვეღარ გაიხსნიდა და შემდეგ აფხაზეთის ომის დეზერტირი ვერ გახდებოდა, რადგან კიევში სამალავი არ ექნებოდა.

მთელი მსოფლიო მოიარა საქართველოს შემარცხვენელმა ვიდეოკადრებმა, როცა გრანტიჭამია და ჰალსტუხღეჭია საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სააკიანთ ვაჟი ახალდაკლული პეტუხა-მამალივით მტვერში ფართხალებს. მერე კი, ქართველმა ხალხმა ელიას მთაზე, ახალი საყდრის კურთხევისას, ნარკოტიკებით გაბრუებული ნახა, მოწყვეტით რომ ჩაენარცხა პატრიარქის სავარძელში. მის სიბრიყვესა და ღორმუცელობას საზღვარი რომ არ ჰქონდა, თავად იხილა ხალხმა, როცა ბეშუმში ყოფნისას იმდენი მაღალკალორიული „კაიმაღით“ გასკდა, რომ ვერტმფრენში ჩაისვარა. სულ დორბლი აყარა ეკიპაჟს, ტუალეტი რატომ არ გაქვთო.

თუმცა, უძახე შენ დეზერტირი! მთავარსარდალი გახდა? გახდა! ჰოდა, მეტი რა გინდათ მისგან?! სვანეთი დაბომბა? დაბომბა! აფრასიძეები ამოხოცა? ამოხოცა. პრემიერ-მინისტრი გააგორა? გააგორა! არ მითხრათ ახლა, პატიმარ მამაკაცებს აუპატიურებდა, პროცესს ვიდეოფირზე ასახავდა და კალმახელიძე, ქობალია, ადეიშვილ-კეზერაშვილები, ბოკერია-მოკერიასთან ერთად ღრეობაზე ამ ვიდეოკადრებით კაიფობდნენო. მერე რა მოხდა, ჩემო კარგო, მკითხველო, ბოლოს და ბოლოს, მთავარსარდალსაც აქვს უფლება, რეფორმებით დაღლილმა, წუთშესვენება აიღოს, სული მოითქვას და გაუპატიურების სცენებით წაიკაიფოს. ვიცი, არაო, მეტყვით, არა კი არა და იხვის ტოლმა.

ახლა ისევ შეთქმულებას დავუბრუნდეთ. როგორც დაავალეს, გვარამიას ბოევიკი ბიძინას ნიღბით ჩაცხრილავდა ბავშვიან ქალს ანუ დედას და მერე გენახათ ქართველი ხალხის რისხვა! და გვარამიას გმირობაც გარანტირებული იქნებოდა, ისე, რომ, მასთან პავლიკ მოროზოვის გმირობაც კი მიმიქარავს. აი, ცოცხალი გვამის ანუ დაუმარხავი მაოხარის ინტელექტის ნაყოფი! იცის ბიჭმა! აბა, რა! იცის და ახსოვს რამდენ ხანს ახეხინა რკინის გისოსები ირაკლი ბათიაშვილს, კოდორის დამცველ ემზარ კვიციანზე „ინტელექტუალური დახმარებისათვის.“ თუ არ ვცდები, მაშინაც პროკურორი გვარამია იყო.

1 ნოემბერს, 14 საათზე „იმედმა“ გაავრცელა „რუსთავი-2“-ის დე იურე მეპატრონის ყარამანიშვილის, რომელიც ამდენ ხანს ბუჩქებში იმალებოდა, განცხადება, ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ვერ ჩაახშობსო. ძვირფასო „რუსთავი-2“-ის თავისუფალი სიტყვის თავისუფალო მეპატრონეე, შენ ისე ხარ ამ არხის პატრონი, როგორც მე ერმიტაჟის ექსპონატების მფლობელი. ქართული სამართალი ნამდვილად აღადგენს სააკაშვილის მიერ ჩახშობილ სიტყვასაც და ნამდვილ მეპატრონესაც. რაც შეეხება სააკაშვილ-ბოკერია-გვარამიას საუბარს და სტამბოლის აეროპორტში შეხვედრას, ახლა სააკაშვილი რომ ყოფილიყო ღარიბაშვილის ან მარგველაშვილის ადგილას, ბოკერიაც და გვარამიაც მატროსოვზე იქნებოდნენ.

ციხისა და კასრების ფირებზე ასახული წამების სიუჟეტები საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატებმა უნდა ნახონ, უნდა გაიგზავნოს აშშ სახელმწიფო დეპარტამეტში, კონგრესში, ევროკავშირში, ევროპარლამენტში, ეუთოში და გაეროში, რაღა თქმა უნდა, სტრასბურგის პროკურატურასა და სასამართლოში. აშშ-ის ხელისუფლებას კატეგორიულად უნდა მოეთხოვოს მთავარი დამნაშავის ექსტრადიცია. უკრაინის პუჩტისტური ხელისუფლება ამას არ გააკეთებს. რომც უნდოდეს, ამის უფლებას უცხოელი პატრონები არ მისცემენ.

პოროშენკოსადმი ჩვენი პრემიერის წერილი, დროული კი არა და, დაგვიანებულიც კია. ამ ცოცხალი გვამის უკრაინაში გამოჩენისთანავე უნდა აგვეტეხა განგაში. როცა ოფიციალურად ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა, რაზედაც თავად თქვა უარი, იგი ექსპრეზიდენტად აღარ მოიხსენიება. ასეა წესი და რიგი. მადლობას იმსახურებს ყველა ის სპეცსამსახური, ვინც მოიპოვა და გაასაჯაროვა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების სამზადისის ამსახველი საუბრები.

ყველასთვის მოულოდნელად, ქართველი ამორძალი სოფო ნიჟარაძე კიდევ ერთხელ გამობრწყინდა უკრაინული ჩანაწერებიდანაც. ისე გაუტია, შანსი აღარ დაგვიტოვა, რომ არ ვახსენოთ. როგორც ვნახეთ, „პაროლებით“ საუბრობენ. დაკითხვაზე დაუბარებიათ. რომ ამბობს, ჩანაწერი ფაბრიკაციაააო, რომელი ჟაკლინ კენედი ან ტეტჩერი ეგა მყავს, ვის რა ფეხებად სჭირდება, მაგისი საუბარი რომ ამონტაჟონ. მე რომ პროკურორი ვიყო, ვკითხავდი – სოფო, შვილო, შენ მამა გყავს?! რაც შეეხება გივი თარგამაძეს, პროკურორმა უნდა ჰკითხოს – დოქსოპულო, შენ დედა გყავს?

უკრაინული ჩანაწერებიდან საყურადღებოა ერთი ფრაზა – „რას შვებიან იდიოტი უცხოელები?“ **მინდა აშშ-ის სრულუფლებიან ელჩს იან კელის ავუხსნა, რომ ეგ თქვენი „დემოკრატიის შუქურა“ „იდიოტ უცხოელებში“ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს გულისხმობს, მათ შორის თქვენც.**

ჩვენი ქვეყნის დაუძინებელო ოპოზიციავ, ჩვენო კარგო ნაცმოძრაობავ (ტრაცმოძრაობას ბეშუმში გეძახიან, თორემ მე ამას როგორ გაკადრებთ!) თქვენი პოლიტიკური მიცვალებული, ანუ ცოცხალი გვამი, თქვენ უნდა დამარხოთ, რადგან დღითი დღე იხრწნება და მაღალია ბოტულიზმის გავრცელების საფრთხე. თუ გულით გინდათ გადარჩენა, სასწრაფოდ დამარხეთ, თორემ ბოტულიზმით ინფიცირებული იმდენი აბი გაქვთ გადაყლაპული, კოჰაბიტაცია ვეღარ გიშველით. თქვენი ფიურერის თქმისა არ იყოს „იდიოტი უცხოელები“ ვეღარ გიშველიან.

არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო, რამდენად შეეძელი დაუმარხავი მაოხარის, ანუ ცოცხალი გვამის პორტრეტის დახატვა. თვალსაჩინოებისთვის ფოტოაპარატმაც აღებჭდა მისი ნამდვილი სახე.

ზოთა ზოიძე,
ქ. ბათუმი

ესენი ისინი არიან და ისინი ესენი?!

კითხვის ნიშანი იმიტომ კი არ დავუსვი სათაურს, რომ მეეჭვება რაიმე. არა, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დილემის წინაშე დგას: ვერ გაურკვევია, მართლა თვისებრივად ახალი ხელისუფლება ავირჩიეთ 2012 წლის ოქტომბერში, თუ ისევ ძველი შემოგვაპარეს ახლებური სამოსელითა და რიტორიკით. ვერც ვერავის გაამტყუნებ ამაში, მიმნდობია ხალხი. სამ წელზე მეტია, ჩასძახიან: ჩვენ ისინი არ გეგონოთ, აქამდე რომ თავზე გასხდნენ და ქვეყანას გინგრევდნენ; ჩვენ თქვენს გადასარჩენად მოვედით, სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ, დამნაშავეები დავსაჯოთ, მათ მიერ დანგრეული და დამახინჯებული ქვეყანა უნდა ავაშენოთ და გავასწოროთ, ორი-სამი წლის შემდეგ საამური ცხოვრება შეგიქმნათო. პოლიციელი შვანგირაძისა არ იყოს, მუშნი ზარანდიას რომ ეუბნება: უსმენენ ამ ტყუილებს და სჯერათ! დაიჯერებენ, აბა, რა! დასაბამიდან ასე არ იყო? ერთი კაცის მოტყუებაა ძნელი, თორემ, ხალხის მოტყუებას რა უნდა! საამისო მაგალითებით არის სავსე ყველა ხალხის ისტორია თუ თანამედროვეობა.

კი, მაგრამ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს უშვერი სიტყვებით რომ აგინებენ და ემუქრებიან, ერთი და იგივენი თუ არიან, რატომ იქცევიან ასეო, — იკითხავს დაეჭვებული ჩემი თანამოძმე.

ერთ ამბავს გავიხსენებ და გაგახსენებ შენც, ჩემო დაეჭვებულო თანამოძმევ...

ბანქოს მოთამაშე თაღლითების ბრიგადები დადიოდნენ სამგზავრო მატარებლებში კარგა ხნის წინ. თბილისი-სურამის მატარებელშიც „მუშაობდა“ მაშინ „კარტოჟნიკების“ ერთი სამკაციანი ჯგუფი. ხშირად დავდიოდი იმ მატარებლით და ვიცნობდი კიდევაც სამივეს...

ხაშურიდან თბილისისკენ დაიძვრებოდა თუ არა მატარებელი, ჯერ ერთი შემოვიდოდა ვაგონში, ხელში ბადურა ეკავა, ბებიაჩემს რომ დაჰქონდა ბაზარში, ისეთი. ბადურაში რაღაც შეხვეული ნივთი ედო, საქმეზე მიდისო, რომ ეფიქრათ სხვებს. ჩამოჯდებოდა ერთ-ერთ მერხზე, ერთს ამოიოხრებდა, რა გაძლებს ახლა თბილისამდეო და ცოტა ხანში მოაყოლებდა, კარტი ხომ არ გვეთამაშა გასართობადო. კიო, — ადვილად ეთანხმებოდნენ მგზავრები. აბაზ-აბაზი ხომ არ ჩავდოთ ფსონში, უფრო ხალისიანად ვიმგზავრებთო. კარგიო, — ხალისობდნენ სხვები, — აბაზისა რა გვცოდნიაო. ის აბაზიანი ფსონი, სულ მალე მანეთიანად იქცეოდა და უფრო მეტადაც. ცოტა ხნის შემდეგ ბრიგადის მეორე წევრი ჩამოჯდებოდა მოთამაშეთა მერხზე (მე ვიცოდი და იქნებ ვინმე სხვამაც, მაგრამ მოთამაშეებმა არ იცოდნენ ეს!). მეც მათამაშეთო, — ითხოვდა. უარს ვინ ეტყოდა, აზარტში იყვნენ შესულები და მოთამაშენი რაც მეტნი იქნებოდნენ, შესაძლო მოგება მით უფრო მეტი იქნებოდა, მაშინ. არც ბრიგადის მესამე წევრი დაახანებდა დიდხანს და აი, მაშინ, მართლა გახურდებოდა თამაში. თავდაპირველად რომელიმე არიფი იგებდა და უხაროდა, მერე ერთბაშად „მისდიოდა ხელი“ აზარტში შესული ნერვიულობას იწყებდა. აი, მაშინ იწყებოდა ცრუ კონფლიქტები ბრიგადის წევრთა შორის. ერთმანეთს ედავებოდნენ: შენ ფული არ ჩაგიდვია ფსონში, ან ნაკლები ჩადევი, კარტი არასწორად აჭერი, ან წესის დარღვევით ჩამოარიგეო და ა. შ. ხშირად ერთმანეთის გინებასა და გაწევ-გამოწევასაც არ ერიდებოდნენ. საწყალი არიფები თან აგებდნენ და თანაც იმათ გაშველებას უნდებოდნენ.

მახსოვს, მხოლოდ ერთხელ მიხვდა ერთი არიფი, ისიც მას შემდეგ, როცა მთლიანად წააგო რაც ფული ჰქონდა, რომ სამივენი შეკრულები იყვნენ და იყვირა: თქვენ ერთი გუნდი ხართ და კარტოჟნიკული აფორით გაგვატყავეთო. იყვირა, მაგრამ რაღას იზამდა!

ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების „ურთიერთდაპირისპირება“ იმ „კარტოჟნიკების“ საქციელს მაგონებს ნამეტნავად. საამისო საბუთებიც თავზე საყრელად მაქვს, თუმცა, იმ „კარტით გატყავებულისა“ არ იყოს, რაში გამომადგება ნეტავი? მაგრამ, მაინც...

როდესაც არსებულ ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალა იმარჯვებს და ხელისუფლებაში მოდის, ბუნებრივია, მას ახალი პოლიტიკური და იდეოლოგიური კონცეფციები მოაქვს, ეკონომიკაშიც ახალ მოდელებს ნერგავს და განსხვავებულ მიმართულებებს ამკვიდრებს. აბა, ერთი, ძალიან დაკვირვებული და ჩაკირკიტებული ადამიანიც კი თუ იტყვის, ამ მხრივ რაიმე სიახლეაო ჩვენში: ისევ იმის გაუთავებელი ქადაგება, რომ ჩვენს მიერ (ანუ ხელისუფლების მიერ!) გაკეთებული არჩევანი სამარადჟამოა და ჩვენ დღეს საღამომდე თუ არა, ხვალ უთუოდ შევალთ ნატოში და ევროკავშირშიო. ამ კურსის მოწინააღმდეგე ყველა კაცი კრემლის აგენტი და საკაცობრიო დანაშაულშია ეჭვმიტანილი, მაშინაც კი, როდესაც შუაგული და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო სერიოზულად ფიქრობს როგორც ერთი, ისე მეორე კავშირიდან გამოსვლაზე...

ნატოს სამხედრო ოპერაციებში ამ ბლოკის ჯვარდაწერილ წევრებზე მეტ ჯარისკაცს აგზავნიდა ყოფილი ხელისუფლება და ასევე იქცევა ახლანდელიც. ორივენი „რომის პაპზე უფრო კათოლიკეები“ არიან! მათ შორის განსხვავება ნულია!

ძველი ხელისუფლება ლიბერასტული (და არა ლიბერალური!) იდეოლოგიის თავგადამკვდარი ერთგული იყო და ზუსტად ასევე იქცევა ახლანდელიც. იმათი და ამათი ლიბერასტული ჭკუით, შეგიძლია თავისუფლად იქადაგო, რაც გინდა, ლანძღო, ვინც გინდა, მაგრამ არ გაბედო ეროვნული ღირებულების ერთგულებაზე ლაპარაკი და იმ ისტორიული პიროვნების ქება, რომლებიც ამ ლიბერასტებს არ „ევასებათ“.

აგერ, ახლახან, ცნობილ ბიზნესმენს, საქართველოს პარლამენტის წევრს ანუ პოლიტიკურ ფიგურას, თავის ფეისბუქგვერდზე დაუწერია, სტალინი დიდი მოღვაწე იყო და მე მისი პორტრეტი ჩემს სამუშაო კაბინეტში, კედელზე მიკიდიაო. რა ამბავი ატყდა, იცით? მშიერი ყორნებივით დაესივნენ მას სახელისუფლო და ოპოზიციური ანუ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები., ეს ზნეობრივად უბადრუკები, ნორმალურ მოვლენად თვლიან, იქნება ამაყობენ კიდევაც იმით, რომ თბილისის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩას აშშ-ის ყოფილი უვიცი (მათივე შეფასებით) პრეზიდენტის ბუშის სახელი ჰქვია, ქალაქის ცენტრში კი, ასევე აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის რეიგანის ძეგლია

წამოპლაკული. სწორედ ამ ფაქტზე ამას წინათ მწარედ დაგვცინა აშშ-ის ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა: მსოფლიოში არ მეგულება ისეთი ქვეყანა, სადაც ამათი ქუჩა ან ძეგლი იქნებაო.

ახლა, რომ ვკითხო ამ უცხოურ გრანტიჭამიებს, ანუ ძღვენიჭამიებს, ორი ოკეანისგაღმელი ვიღაც ვიღაცების სახელზე აღვლენილი ლოცვა ლიბერალიზმია და საკუთარი უდიდესი ისტორიული პიროვნების პატივისცემა ლიბერალიზმის უარყოფაა? ისე დაგიმშვენდათ სიფათები, თუმცა თქვენს სიფათებს რაღა დამშვენება უნდა!

ანდა რელიგიასთან დამოკიდებულების თავისუფლება ვნახოთ ერთი, როგორ ესმით ამ ჩვენს ახალ და ძველ პოლიტიკოსებს: მართლმადიდებლობის დამცირება-შეურაცხყოფა, ქრისტიანული ღირებულებების პროპაგანდის წინააღმდეგ გალაშქრება ლიბერალიზმია, ხოლო, მაგალითად, იეღოველების საქმიანობაზე აუგის თქმა ანტიდემორკატია და ადამიანის უფლებების ხელყოფაა. მეტროს ყველა სადგურთან იეღოველთა აქტივისტები რომ დგანან სააგიტაციო დაფებითა და ლიტერატურით, ეს არაფერი, მაგრამ მეტროს სადგურ „რუსთაველის“ წინ, შუა ქუჩაში იეღოველთა რელიგიური (თუ ფსევდორელიგიური) ცენტრის მთელი არქიტექტურული კომპლექსის მაკეტი რომ დადეს ამას წინათ და ახალი და ძველი ხელისუფლებისგან დაშინებული ხალხი უკმაყოფილებასაც რომ ვერ გამოხატავს, ლიბერალიზმი და ადამიანის უფლებათა დაცვა ჰქვია ამას?

ნაცბანდამ არჩევნები რომ წააგო, 2012 წლის ოქტომბერში, ახალი ხელისუფლების აქტივისტებმა, როგორც ჩანს, ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, ციხეებში პატიმრების წამებისა და სხვა სიგლახეთა ამსახველი ათიათასობით ვიდეოკასეტა აღმოაჩინეს საგამგრელოს ტყეებში არსებულ სამალავებში. აღმოაჩინეს და ატყდა და რა ატყდა: გნიასი, მუქარა, ევროამერიკელ ძიებთან საჩივრების გაგზავნა, არიქა, ეს კადრები არავინ ნახოსო; ეს პირად ცხოვრებაში ჩარევააო. შეიქმნა კომისია ადამიანის „უფლებადამცველების“, ჟურნალისტების, პოლიტპარტიების ლიდერების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მონაწილეობით და დაადგინეს: გავანადგუროთ ეს ფარული ვიდეოჩანაწერებიო.

გაანადგურეს კიდეც! მერედა, რა გაანადგურეს? **ნაციონალური მოძრაობის საბრალდებო დოკუმენტები, დანაშაულის ფაქტობრივი მტკიცებულებანი!** ახალ და ყოფილ ხელისუფლებას ერთი და იგივე დავალება აქვთ, ალბათ, მიცემული მათი პატრონების მიერ და ერთმანეთს ხომ არ დასჯიან. კოჰაბიტაციაც ამიტომაა შემოგდებული.

ახლა კიდევ, მთელ ქვეყანას მოედო უკრაინელების მიერ კიევში გადაბარგებული ნაცბანდის (ანუ ნაციონალური მოძრაობის) ლიდერების აქ დარჩენილ თანაპარტიელებთან სატელეფონო საუბრების ფარული აუდიოჩანაწერების შინაარსი, სადაც დაუფარავად ლაპარაკობენ მძიმე სისხლისსამართლებრივ, ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ გეგმებზე. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები კი უფრო იმაზე წუხან, ეს აუდიოჩანაწერები უკანონოდ ხომ არ არის მოპოვებულიო.

თქვე ოჯახქორებო, ის ოხრები უკანონო მოქმედებებს გეგმავენ და თქვენ იმაზე მსჯელობთ, მათ საიდუმლო საუბრებს კანონიერად უსმენენ თუ უკანონოდ? ერთმა ჭკუისკოლოფმა, ყოფილი ხელისუფლების ერთობ მაღალჩინოსანმა ტელეეკრანიდან, დიდად აღშფოთებულმა, გულისწყრომით შემოგვჩივლა: ესენი მალე ლოგინში რას ვლაპარაკობთ, იმასაც მოგვისმენენო. ვინ იგულისხმა „ესენში“ არ ვიცი, მაგრამ ლოგინში იმაზე თუ ელაპარაკები შენს პარტნიორს, თუ როგორ უნდა ააფეთქო ხვალ ბომბი სკოლაში და დახოცო მოსწავლეები, მოგისმინონ კი არა, იმავე ლოგინში რომ ჩაგკლან, ისიც ნამეტანი კანონიერი და ჰუმანური საქციელი იქნება. გააჩნია, რას ლაპარაკობ, რას გეგმავ და ვინ გისმენს, თორემ შენს ცოლს რას ეჩურჩულები, ვის რა ფეხებზე ჰკიდია!

...მოისმინეს, გაახმაურეს და რა მერე? არც არაფერი! აშკარა საციხეები თავიანთ „ჩაშკა-ლოჟკებთან“ მიტინგებს (20-კაციან თავშეყრას, მიტინგს არქმევენ!) ატარებენ და იმუქრებიან: მალე მოვალთ ხელისუფლებაში და გიჩვენებთ სეირსო. ქართველ ხალხსა და იმ მამაც პუბლიცისტებს ემუქრებიან, ალბათ, რომლებიც დღენიადაგ ამხელენ, ამათ და იმათ მამაძაღლობებს.

ასეა, თორემ, ესენი და ისინი, რამ გაჰყო?

ამათ და იმათ პოლიტიკური მეთოდებიც რომ ერთნაირი აქვთ!.. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, საქართველოს ერთ-ერთ რაიონში ნაცების კანდიდატის მხარდამჭერად თვით ვანო მერაბიშვილი ჩაფრინდა (ჰო, ვერტმფრენით ჩაფრინდა!.. ვერტმფრენი პირდაპირ ქალაქის ცენტრში მდებარე სტადიონის საფეხბურთო მოედანზე დაჯდა!). მაშინ ის ვანო პრემიერ-მინისტრი იყო, მაგრამ ხალხს ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი ეგონა და ძალოვანებისა, როგორც წესი, ეშინიათ ადამიანებს. იმ დროს იმ რაიონში ხელისუფლებისათვის ფრიად არასასურველი კანდიდატი იყრიდა კენჭს და ამიტომ შეიწუხა თავი ვანომ, თუმცა ამაოდ: არ შეეშინდათ მისი იმ რაიონის ამომრჩევლებს!

იხ. 6 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

უკრაინა „რესპუბლიკელებს“ საქართველოს ნაწილებად აღიარებენ

უკრაინაში აფხაზური და ოსური საგარეო ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებებს დააჯარიმებენ, რადგან უკრაინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის საპატრულო პოლიცია „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს. განცხადების თანახმად, სამართალდამცავმა ორგანომ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთისა და ე.წ.სამხრეთ ოსეთის სამართლებრივი სტატუსის შეფასების თხოვნით მიმართა.

„საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ უკრაინა ე.წ. „რესპუბლიკებს“ დამოუკიდებელ ან სხვა სახელმწიფოების ნაწილებად არ აღიარებს, არამედ საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. ამიტომ ამ და სხვა არაღიარებული ფორმირებების სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნები — ნიშნების არარსებობის ექვივალენტია“, — ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინის საპატრულო პოლიციის განმარტებით, მსგავსი სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებების უკრაინის ტერიტორიაზე დაფიქსირების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანო კანონის შესაბამისად იმოქმედებს.

◎ გულის გუნდარი

ესენი ისინი არიან და ისინი ესენი?!

(მეხუთე გვერდიდან) ახლაც ანალოგიური ვითარება იყო საგარეჯოს რაიონში. ხელისუფლებისათვის მიუღებელი კანდიდატი უპირისპირდებოდა ხელისუფლების რჩეულს და საგარეჯოში საგანგებო მისიით ჩავიდა (იქნებ კიდეც ჩაფრინდა!) საქართველოს ამირსპასალარი. არ ვიცი, გენერალური შტაბის უფროსიც ახლდა თუ არა, მაგრამ მარტო რომ არ ჩავიდოდა, აშკარაა. ამირსპასალარია, მაგრამ ქალია მაინც! ჩავიდა და ვანოსგან განსხვავებით, თავის მოგვარეს გაამარჯვებინა კიდეც.

იქნებ ამირსპასალარი არც დახმარებია თავის მოგვარე კანდიდატს და, უბრალოდ, საგარეჯოელებს მზე და მთვარე მხოლოდ ხიდაშლებზე ამოსდით, მაგრამ ნაცებისა და ქოცების ეს საარჩევნო კლოუნადა ძალიან ერთნაირი რომ არის, უხერხულია მაინც.

ესენი რომ ისინი არიან, ამის ყველაზე აშკარა დადასტურება ის არის, რომ მოზარდი თაობის ჩამოყალიბების საქმე, ანუ საქართველოს მომავლის განათლება, უფრო სწორად, გონების დაბნელება, საინფორმაციო-პროპაგანდისტული, პირველ ყოვლისა, საეთერო სივრცე, ადმინისტრაციული ორგანოები მთლიანად ყოფილი მმართველი პარტის წარმომადგენლობათა ხელშია, რაც ახლანდელი ხელისუფლების უხერხულობას სულაც არ იწვევს. ეტყობა, ეს აწყობთ კიდეც, რადგან უკმაყოფილო ხალხის აგრესია ყოფილებისკენ არის მიმართული, ახლანდელ ხელისუფლებას, უბრალოდ, უნიათოდ, მიიჩნევენ.

აი, სულ ახლახან ილიაუნში (მაპატიეთ ამ გამონათქვამისთვის, მაგრამ ასე უწოდებენ ამ უნივერსიტეტს და რა ვქნა!) რაღაც გამოფენა ჩატარდა, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოფენილი იყო სურათი, რომელზეც თვითმკვლელი ღვთისმშობელია დახატული. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მორწმუნე ქრისტიანისთვის ეს არის უმძიმესი შეურაცხყოფა და ზღვარდაუდებელი მკრეხელობა. ჩვენში რომ ისეთი თავგანწირული მორწმუნეები იყვნენ, როგორც არაბი მუსულმანები არიან, „შარლ ებდოს“ რედაქციის სისხლიანი კალო მოგონილი იქნებოდა: რისხვას ვერ აიცდენდნენ ე. წ. ლიბერალური (უფრო კი, ლიბერასტული!) უნივერსიტეტის რექტორი, თავის პრორექტორ-კანცელარიანა, მათ დამქაშ ე. წ. „პროფესორებთან“ ერთად. მაგრამ ხელისუფლებას ყურიც არ გაუპარტყუნებია: ევროპული ლიბერალური იდეოლოგიის ერთგულების არიან და იმიტომ.

ესენი ისინი არიან, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ისინი კი ესენი! ხელისუფლებაზე ვამბობ ამას, თორემ ცალკეული მოხელეები დედაქალაქსა თუ რაიონებში, კარგებიც არიან და ცუდებიც, აქტიურებიც და ზარმაცებიც, ინიციატივიანებიც და უნიათონიც. ეს მათ პიროვნულ ნიშნებსა და ზნეობრივ მრწამსზეა დამოკიდებული. სახელისუფლებო გუნდი კი ერთია ახლაც და გუშინაც. ისინი ისეთი კერპების ერთგულებაზე არიან დაფიცებულნი და ისეთი კაცის გრანტებს ანუ ძღვენს ჭამენ დღენიადაგ, რომ იოტისოდნავადაც ვერ გადაუხვევენ თავიანთი გუშინდელი თუ გუშინწინდელი ბელადების ანდერძს. უფრო მეტიც: ისინი საუკუნის წინანდელი კომუნისტების ბელადის ანდერძის შესმრულებლებიც არიან, თვითონაც რომ არ იციან, ისე!

რა წერია, თუ იცით, ლენინის მიერ დაწერილი კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის პირველსავე აბზაცში? რა და: **„მიზანი: მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა!“** როგორია, ჰა? გლობალიზაცია გუშინ კი არ დაწყებულა!

არც ის არის სიახლე, რაც ჩვენი ტელევიზიების ტუტუც წამყვანებს, მათ ცალტვინა პროდიუსერებსა და სცენარისტებს ჰგონიათ. ამ სამიოდე წლის წინათ, ღირსების ორდენით დააჯილდოვეს ერთი ქართველი გოგო (თუ ქალი) კულტურის პროგრესში შეტანილი წვლილისთვის. რა წვლილი შეიტანა, იცით? არ შერცხვა და მთლიანად გაშიშვლდა ფოტოგრაფის წინაშე. ეს ფოტო ერთ-ერთი „პროგრესული“ ჟურნალის ყდაზე დაიბეჭდა და ჩვენმა ხალხმაც ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ევროპული განვითარების გზაზე. არა და, ოქტომბრის რევოლუციის დღეებშივე წამოაყენეს ბოლშევიკებმა მებრძოლი ლოზუნგი „ძირს სირცხვილი!“ (Далой стид!). მათმა ბელადმა კი ჩვეული ოსტატობით „დაასაბუთა“, რომ სირცხვილი ბურჟუაზიული გადმონაშთია.

არც ეროვნებისა და არც ოჯახის წინააღმდეგ ბრძოლაში არიან ორიგინალურები დღევანდელი ე. წ. ევროპული ორიენტაციის პოლიტიკოსები. ერთიცა და მეორეც ლენინელთა უპირველესი ამოცანა იყო. ისე, რომ ესენიც ისინი არიან და ისინიც ისინი, რომელთა თეორია და პრაქტიკა ნახევარი საუკუნით დასამარა სტალინმა. ამიტომ არის, ასე ცხოველური შიში რომ აქვთ ამათაც და იმათაც სტალინისა, მისი ბრინჯაოს ძეგლებისაც კი.

შავი ფიქრები მომეჯარება ხოლმე ამ ამბებზე ფიქრისას. ასე მგონია, ფუჭია ჩვენი ფაფხური. ხელისუფლება სრულიად დაყრუებულია ჩვენი საწუხარის მიმართ, ამიტომ, რაც გინდა იყვირე, ვის რას შეასმენ! მას არც ხათრი და, მით უფრო, არც შიში აქვს თავისი ხალხისა, რადგან ოკეანის გაღმა ჰყავთ ძალიან ძლიერი ძიები და აგერ უზით თბილისში იმ ძიების მიერ დანიშნული გუბერნატორი, მოფერებით ელჩს რომ ეძახიან ჩვენში. თოფი იმათ ხელშია და ციხე, მათრახიც და ნამცხვარიც. კალამი რას იზამს იქ, სადაც გაზეთისა და წიგნის კითხვა უკულტურობად და გოიმობად ითვლება. ამიტომ, არ გაგვიკვირდეთ, თუ პერიოდულად ამათ ისინი შეცვლიან, იმათ ესენი. საქართველო კი ამასობაში, ფა-ფუ!

ღმერთო, როგორ მინდა, რომ ვცდებოდე! ნეტავი ესენი ისინი არ აღმოჩნდებოდნენ და ისინი — ესენი. მაშინ გულწრფელ ბოდიშსაც მოვიხდი, ამ ჩემს ბრალსაც მოვინანიებ და ნაცარსაც წავიყრი თავზე.

ნეტავი!

ზურაბ ცუცქირიძე

◎ ალიან-ჩალიანი

მანდარინის მოსავალი 30-40 პროცენტითაა გაზრდილი

„არასტანდარტული ანუ სამრეწველო გადამუშავების მანდარინზე ჩვენ შევინარჩუნეთ შარშანდელი მიდგომა და წელსაც იქნება 10-თეთრიანი სუბსიდია იმ შემთხვევაში, თუ არანაკლებ 20 თეთრს გადაიხდის მიმღები გადამამუშავებელი ქარხანა. ასევე აღსანიშნავია, რომ დამატებითი სიმძლავრეები დაემატა მიმდინარე წელს შარშანდელისგან განსხვავებით, როგორც შეფუთვის და გადამუშავების, ისე კონცენტრატის წარმოების კუთხით, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ დარგისთვის. ასევე გაიზარდა მოსავალი - წელს ჩვენ გვაქვს დაახლოებით 30-40 პროცენტით მეტი მოსავალი, თუმცა მოთხოვნა დიდია. ასევე არატრადიციული ბაზრებიდან, სადაც შედარებით ნაკლები იყო მოთხოვნა (პოსტსაბჭოთა სივრცეს ვგულისხმობ), დაახლოებით 30-35 ათასი ტონის ექსპორტზეა მოთხოვნა, რაც კრიტიკული რაოდენობაა ამ კუთხით. ასევე აღსანიშნავია გადამუშავებისა და შეფუთვის ხარისხიც, რომელიც აბსოლუტურად ევროპულ სტანდარტებს უტოლდება“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.

წყნეთში ასამდე ძირი ხე დაირგო

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ წყნეთში, ამილახვრის და გურამიშვილის ქუჩების მიმდებარე ტყე-პარკებში ხეების დარგვის პროცესში მიიღო მონაწილეობა.

ტყე-პარკებში 60 წიწვოვანი და 30 ფოთლოვანი ხე დაირგო. აღნიშნულ ტერიტორიებზე დროთა განმავლობაში გამხმარი და დაავადებული ხეები გამოიხშირა და ტყე-პარკები ხეებით შევსებას საჭიროებდა.

„დღესაც, ისევე, როგორც წინა დღეებში, მთელი ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს გამწვანების ღონისძიებები. მე უშუალოდ წყნეთში ამოვედი და აქ მივიღე მონაწილეობა გამწვანების პროცესში. აქ არა მხოლოდ ნერგები დაირგო, არამედ მოვაწესრიგეთ სათამაშო მოედანი და ჩატარდა სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები. დარჩენილი იყო გამწვანების ღონისძიებები და დღეს ესეც გავაკეთეთ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

საშემოდგომო რგვებისთვის ვაკის გამგეობამ მერიისგან 1 600-მდე ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობის ნერგი მიიღო. ვაკე-ბაგების, ნუცუბიძის მიკრო რაიონების, ვაჟა-ფშაველას კვარტლების და წყნეთის საუბნო განყოფილებები ნერგებს მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით შერჩეულ სკვერებში, ქუჩებსა და ეზოებში რგავენ.

უცხოურმა გემებმა ჩვენი აკვატორია სანაგვედ გადააქციეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

პანამის დროშით მცურავმა გემმა ბათუმის ნავსადგურში ფეკალური წყლები ჩაღვარა. სამართალდამრღვევს 65 000-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 8 000 ლარს აღწევს.

სამინისტროს განცხადებით, პანამის დროშით მცურავი გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული ჯარიმისა და ზიანის გადახდის შემდეგ დატოვებს.

ინტერპრესი

◎ საგზაო მშენებლობა

რიკოთზე გადასვალ ქარის სისწრაფით...

ლაგოდეხიდან სამტრედიამდე და შემდეგ ბათუმამდე და სოხუმამდე საქართველოს მთავარი ავტოსატრანსპორტო მაგისტრალის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ჩუმათელეთი-ზესტაფონის 56-კილომეტრიან მონაკვეთზე, მომავალში სავარაუდოდ, ჩინური ინვესტიციით ფასიანი ავტობანი აშენდება.

— რიკოთის უღელტეხილზე ახალი საავტომობილო გზის გაყვანა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ის ჩინური ინვესტიციით აშენდება, უფრო მეტი გარანტია იქნება იმისა, რომ ამ გზის იქაური ტვირთები გაცილებით უფრო ინტენსიურად გადაიზიდება, — განაცხადა საკითხთან დაკავშირებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა. — ამ შემთხვევაში შესაძლოა, დავთანხმდეთ 30-დან 50 წლამდე ავტობანის მართვის ჩინური მხარისთვის გადაცემას, რა ხნის განმავლობაში იგი ფასიანი იქნება, ამდენად გაწეული ხარჯის ამოღება გზის მართვის ეფექტიანობის შესაბამისად მოხდება, — დასძინა მინისტრმა.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, **საავტომობილო გზის ახალი მონაკვეთი ფასიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი მის პარალელურად ალტერნატიული უფასო გზაც იმოქმედებს.** ამასთან დაკავშირებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალი ავტობანით სამანქანო მოძრაობაზე ტარიფი მხოლოდ ამჟამად მოქმედი ინფრასტრუქტურის შენარჩუნების პირობით დაწესდება. ამ ერთგვარად, კომბინირებულ ვარიანტს ის დადებითი მხარეები აქვს, რომ დღესდღეობით გადატვირთული მაგისტრალი შედარებით განიტვირთება, თანაც სატრანზიტო მიმოსვლაც სწრაფი იქნება და გაუმჯობესდება, რაც, შესაბამისად, ინტენსივობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს და შემოსავალზეც აისახება.

რიკოთის უღელტეხილზე ახალი გზის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი უკვე შეხვდა ორი ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს, რასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროექტით მათი დაინტერესება ტვირთების გადაზიდვების მოცულობის გაზრდის საუკეთესო გარანტია იქნება.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ორმხრივი შეხვედრის დროს საუბარი თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხსაც შეეხო და, როგორც ვიცე-პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** განაცხადა, მუშაობა ქუთაისი-მესტიის გზის ახალ ერთობლივ პროექტზეც მიმდინარეობს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილმა** კი განაცხადა, რომ რიკოთის უღელტეხილზე ახალი ჩქაროსნული გზის გასაყვანად ჩინეთის მხარეს საუცხოო პოტენციალი აქვს. მათ შორის აღსანიშნავია აბრეშუმის გზის ფონდი, აზიის ინფრასტრუქტურის ბანკი, სხვა არანაკლებ მძლავრი საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც ასეთი პროექტების განხორციელებით არიან დაინტერესებულნი.

ოთარ ტურაბელიძე

განცხადება

2016 წლის 6 იანვარს, 14 საათზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ტყიბული, კარლო ლომიძის ქუჩა №3) გაიმართება 150 მგვტ დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ქ. ტყიბულის მიმდებარე ტერიტორიაზე თბოელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტარციულ შენობაში — ქ. ტყიბული, კარლო ლომიძის ქუჩა №3;
- შპს „ტყიბული 150“-ის ოფისში — ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩა №14;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ª.

ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; **E-mail: j.akvlediani@gamm.ge;**

გიგი ჭაჭია. ტელ: +995595 300303; **E-mail: g_chachia@gig.ge**

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „ტყიბული 150“-ის ადმინისტრაცია

სულხან მოლაშვილი:

პასუხი აგებინეთ ჯალათ ბოკერიას!!!

(მესამე გვერდიდან)

იუსტიციის სამინისტროში ყოფნის დროს რამდენიმე ათასი ლარი ჯდებოდა ყოველთვიური სატელეფონო საუბრები... ამათ გაუმაძღრობას საზღვარი არ ჰქონდა!

— რატომ გაწამეს, რის აღიარებას ითხოვდნენ?

— ითხოვდნენ მხოლოდ ერთ რამეს — უნდა მეთქვა, რომ რაზეც კონტროლის პალატის აქტებში იყო საუბარი, წერდა კონტროლის პალატა ჩემი ხელმძღვანელობით და ედუარდ შევარდნაძის დაკვეთით, მაშინდელი ოპოზიციის ჟვანია-სააკაშვილის გუნდის დისკრედიტაციისთვის... და რომ ციფრები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამ ერთი ჩემი „ნებაყოფლობითი“ აღიარების საფფუძველზე უნდოდათ ჩამოერეცხათ ის ტალახი, რომელიც მათ პოლიტიკურ საქმიანობას ახასიათებდა. სააკაშვილი იბრძოდა ხელისუფლებისთვის და ამ დროს ასეთი სერიოზული კომპრომატები ხელს არ აძლევდა. სხვათა შორის, ეს დოკუმენტები ნახა ამერიკის მაშინდელმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა, მაგრამ არ წაიკითხა, დახედა და წავიდა...

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ დოკუმენტაციას აქტუალობა არ დაუკარგავს, თუკი სამართალდამცავები მისით დაინტერესდებიანო...

— რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს. დოკუმენტების ასლები მე მაქვს, წესით, კონტროლის პალატის არქივშიც უნდა იყოს და ასევე საქართველოს გენერალურ პროკურატურაშიც, სადაც მაშინ გადავაგზავნე.

— და მაინც, კონკრეტულად მინდა ისაუბროთ გიგა ბოკერიაზე. თქვენ ამბობთ, რომ ის გვერდით ოთახში იმყოფებოდა მაშინ, როცა ასე სასტიკად გაწამებდნენ. რა დოზით მიუძღვის დანაშაული ამ ადამიანს თქვენს წინაშე?

— არაერთხელ მითქვამს კიდევ ვამბობ, რომ **ადეიშვილი, ბოკერია, თარგამაძე და კიდევ რამდენიმე პირი საძართველოში წარმოადგენენ კრიმინალური რეჟიმის დასაყრდენ ძალას, რომელთა საძმიანობაც აშკარად ანტისახელმწიფოებრივია!!! მთელი მათი მოღვაწეობა მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე ძალაუფლება ჩაიდგონ ხელში 2016 წელს.** ჩვენი სამართალდამცავები ძალიან ლოიალურად ექცევიან ამ პიროვნებებს, არაადექვატურად მსუბუქია მათი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის დანაშაულების მიმართ... თუკი ასე გაგრძელდება, „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება არჩევნებზე წარმატების მიღწევა! **ნაციონალები დაგეშილები არიან, თავზე დაამხონ ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“, ხოლო შემდეგ საქართველოზე იყარონ ჯავრი. აკი, წერს კიდეც გიგა ბოკერია: ჩვენ ყველა ის ადამიანი უნდა დავსაჯოთ, ვინც „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმაო.** ისინი ახლაც რევოლუციური გზით გეგმავენ ხელისუფლებაში მოსვლას, ოღონდ რევანში იქნება გაცილებით სისხლიანი და მომაკვდინებელი ჩვენი ერის მომავლისთვის.

— რა შეუძლია ხელისუფლებას ამ ეტაპზე გააკეთოს?

— უნდა აკრძალოს ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, რომელმაც ჩაიდინა სერიოზული დანაშაულები ქართული საზოგადოების წინაშე! ნაციონალები მასიურად აწამებდნენ ადამიანებს ციხეში. ისმოდა ადამიანების კვნესა, გმინვა. ავადმყოფები შეგნებულად არ გადაყავდათ საავადმყოფოში, რათა სული ამოხდომოდათ. ნაციონალური მოძრაობა სერიოზული საფრთხეა!!!

— სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფოს თქვენ საქმეზე დააკისრა 20 000 ევროს გადახდა და ამავე დროს საქმის ხელახალი გამოძიება...

— კომპენსაცია სახელმწიფომ გადაიხადა. ეს იყო სიმბოლური თანხა ზიანის ანაზღაურებისა, რაც შეეხება რეალურ თანხას, ის სახელმწიფოს უნდა განესაზღვრა საქმის ხელახალი გამოძიებისას, თუმცა, საქმე არ გამოძიებულა... ჩემი წამების ფაქტი, ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროსვე აღიარა სახელმწიფომ. მე არ მსმენია, რომ სტრასბურგის სასამართლოს დაედგინოს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებების ხელყოფას პოლიტიკური დისკრიმინაციის საფუძველზეც, რასაც საქართველოს მთავრობაც დაეთანხმა ჩემთან მიმართებაში. ამ საქმეზე მე პროკურატურის წარმომადგენლებს ველაპარაკე, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც ბევრი ნაციონალია და არ უნდათ საქმის ხელახალი გამოძიება... ჩემს წამებას და არაადამიანურ მოპყრობას ადასტურებდა ევროკავშირის წარმომადგენელი მათიას იორში და რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაც. **ვიყავი ნესტიან საკანში, სადაც არც შუქია, არც თეფში, არც ჩანგალი, არც ხელსახოცი — ცხვირსახოცი, არც საათი, არც ბალიში, ლეიბი, საბანი, არც ტანსაცმელი, მხოლოდ ონკანიდან მუდმივად მოშვებული წყალი... აპრილის ბოლოდან ივნისის შუარიცხვამდე ასეთ საკანში ვიმყოფებოდი.** დაადგინე, შე დალცვილო, ვინ გასცა ბრძანება, რომ ადამიანი ასეთ პირობებში ყოფილიყო?! ან კონტროლის პალატის თავმჯდომარე, კონსტიტუციური ფიგურა, რატომ ჩასვეს კრიმინალების კორპუსში? ეს არსად არ ხდება. თანამდებობის პირები დღევანდელი „უგულავები“, „ბოკერიები“ (ნეტა ენამ მიყივლოს!) რატომ არიან მატროსოვზე? კიდევ იპრანჭებიან და ინტერნეტს ითხოვენ... მაშინ, რა უნდოდა კრიმინალებთან სულხან მოლაშვილს?

— ბატონო სულხან, 100 პროცენტით ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი წამების დროს გიგა ბოკერია გვერდით ოთახში იყო და ისმენდა თქვენს ხმას?

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. მე არ ვარ ის ადამიანი, ვინმეს ტყუილად დავადო ხელი. ბოკერიამ, ჩემს დაჭერამდე, ერთ-ერთ ჩემს თანამშრომელს აჩვენა სია, სადაც მეც ვიყავი. მოგეხსენებათ, რევოლუციის მეორე დღესვე გადავდექი... ჩემი თანამშრომელიც ბოკერია იყო, გიგას შორეული ნათესავი, იგი ჩემგან დამოუკიდებლად მისულა და უთქვამს, არ არის სულხანი ის კაცი, რასაც თქვენ აბრალებთო, მე არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ ამ სიაში არის და არ მაინტერესებსო, უთქვამს ბოკერიას. **ამით დასტურდება, რომ გიგა ბოკერიას მართლაც ჰქონდა დასაჭერი ადამიანების სია. იგი ლევან რამიშვილთან და ზურაბ ადეიშვილთან ერთად იყო პირველი იდეოლოგი ხალხის დაშინების, დაჭერის. ის იყო სისხლიანი სამართლებრივი პოლიტიკის წარმართველი. ის განსაზღვრავდა ამ დანაშაულებრივი პარტიის საქმიანობის ძირითად პრინციპებს.** ამიტომ, მათი სამართლებრივი გაუვნებელყოფა ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. წინაღმდეგ შემთხვევაში, ვინც არ უნდა გთხოვდეს, გეაჯებოდეს, გაიძულებდეს მათ გათავისუფლებას, კეთილი უნდა ინებონ და ქართველი ხალხის აზრი გაითვალისწინონ!!! ყველამ იცის, რომ ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნის გამო, დღევანდელი მთავრობა იძულებულია, არ დაიჭიროს ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, მართალია, ხელისუფლება უფრთხილდება დასავლეთთან ურთიერთობას. მაგრამ **გაცილებით უარესი შედეგის მომტანი იქნება საკუთარ ხალხთან ურთიერთობის გაფუჭება და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ არენაზე დატოვება!!! კიდევ უარესი იქნება ის, რასაც ისინი მომავალში გააკეთებენ...**

ესაუბრა
თეა მოსია

◎ გენდერული თანასწოროგის შესახებ

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპი

**„Salus populi suprema lex esto —
დაე, ხალხის კეთილდღეობა
იყოს უმაღლესი კანონი“.**

ციცერონი

გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოში. ჯერ კიდევ 1979 წელს გაერომ მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“, რომელიც რატიფიცირებულია გაეროს წევრი 196 ქვეყნიდან 184-ში, ანუ (96%-ით). როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ასეთი ერთსულოვნება საკმაოდ იშვიათია საერთაშორისო დოკუმენტების მიღებისას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ პრობლემის მნიშვნელობას. ამ კონვენციაზე მიერთებული არ არის 7 სახელმწიფო — სომალი, ტონგა, სუდანი და ა. შ. ჰოი, საკვირველებავ, მათ მხარს „უმშვენებს“, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის შეერთებული შტატები(!). დიახ, პლანეტის ზესახელმწიფო, რომელიც არის პროპაგანდისტი, მედროშე (ყოველ შემთხვევაში თავის თავს ასე წარმოაჩენს), არ იცავს ქალებს ყოველგვარი ძალადობისგან ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს სიმბოლო — თავისუფლების იდეა ქალის ქანდაკებით არის განსახიერებული.

ქალთა უფლებების დაცვა განუყოფელი და ძირითადი პრინციპია ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვისა. ის საიმედო გარანტიაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ამ დოკუმენტმა უდიდესი პოზიტიური როლი შეასრულა მთელ მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის საქმეში. დღეს ქალების უმეტესობა აღარ არის დამოკიდებული ოჯახის მარჩენალი მამაკაცის შემოსავალზე და თვითონ არის ბედის ბატონ-პატრონი. ამჟამად ქალებს უკავიათ უმაღლესი თანამდებობები აკადემიურ, სამთავრობო დაწესებულებებსა თუ პოლტიკურ არენაზე. კონვენცია ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ყოველმხრივ განიხილავს ქალთა უფლებებს პოლიტიკურ, სამოქალაქო, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში მიღებულია კანონები კონვენციის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად. მაგ. საფრანგეთში მიიღეს კონსტიტუციური ცვლილებანი, რომელთა თანახმად ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის 50%-ს ქალები უნდა წარმოადგენდნენ და ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური სანქციები. ალბათ ჩვენთანაც საჭიროა საკანონმდებლო დონეზე მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხელს შეუწყობდა ქალთა როლის ამაღლებას სხვადასხვა დონის წარმომადგენლობით ორგანოებში.

ამ კონვენციამ მტკიცე და საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოში, თუმცა ქალების რეალური მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელოა.

2013 წელს აშშ-ის სხვადასხვა შტატიდან (ალაბამა, ჩრდილოეთ კაროლინა, ფლორიდა, სამხრეთ კაროლინა, ჯორჯია, ლუიზიანა, ტენესი, ტეხასი) 360 000 მოქალაქემ პეტიციით მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს, რომლითაც მოითხოვდნენ აშშ-ის სახემწიფოდან მშვიდობიანად გამოსვლას და დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას. პასუხი ასეთი იყო — ეს შეუძლებელია იმ ერთი მიზეზის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ამას არ ითვალისწინებს, და რომ აბრაამ ლინკოლმა აშშ-ს „მარადიული“ უწოდა. თეთრმა სახლმა ასევე მიუთითა აშშ-ის უზენაეს სასამართლოზე, რომელმაც თავის დროზე დაადასტურა, რომ — „აშშ-ის კონსტიტუცია დაფუძნებულია მასში შემავალი შტატების ურღვევ კავშირზე“.

ამჟამად ჩვენთან ატეხილი პრემიებისა და სახელფასო დანამატების „ეპოპეასთან“ დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ შემდეგი. ამ ორიოდე წლის წინათ ბ. ობამამ გასცა განკარგულება, რომლის თანახმად ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა რანგის ჩინოვნიკები ვადებულნი არიან, 14 სთ-ზე ნაკლები ფრენისას თვითმფრინავის ეკონომკლასით იფრინონ (და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ბიზნეს კლასით). ასე რომ, მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფო თავის ჩინოვნიკებს ავალდებულებს ქამრების შემოჭერას და სახელმწიფო თანხების ეკონომიურად ხარჯვას. მაშინ როცა ჩვენთან...

მეორე მსოფლიო ომის დროიდან გავიხსენებთ ერთ ფაქტს. 1941 წელს ომის მსვლელობის დროს საბჭოთა კავშირს ეწვია ინგლისის სამთავრობო დელეგაცია, რომელთა წევრებს თან წამოღებული ჰქონდათ ბუტერბროდები(!). ამის დანახვამ მაშინდელი ჩვენი მაღალჩინოსნების (ანუ მუშ-გლეხური მთავრობის წევრების) დიდი გაოცება და გაკვირვება გამოიწვია. რას იზამთ, ზოგს ასე ესმის თავისი ხალხის წარმომადგენლობა და მათი ინტერესების დაცვა.

აქვე დავძენ, რომ დღესაც ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატის წევრები ხელფასს არ იღებენ. ასეთი რამ ქართველებს ძილშიაც არ დაგვესიზმრება. სხვათა შორის აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ხელფასების შემცირება, რადგან ფუტკარი იქ მიდის, სადაც თაფლი ეგულება.

ჯერ კიდევ ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ევროპიდან უნდა გადმოვიღოთ ღირსებანი და არა ნაკლულევანებიო“.

რომაულ სამართალს სრულყოფილების უმაღლეს ფორმას უწოდებენ, რომელშიც მთელი 2000 წლის განმავლობაში კაცობრიობას არავითარი არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. თავის მხრივ, რომაული სამართლის პირველწყარო იყო ბუნებითი სამართალი. დიდი რომაელი მოაზროვნე ულპიანე წერდა: „ბუნებითი სამართალი (jus naturale) — აქვს ყოველ ცოცხალ არსებას. ეს არის ის, რაც ბუნებამ ასწავლა ყოველ ცოცხალს, რადგან ეს ახასიათებს არა მარტო ადამიანთა მოდგმას, არამედ ნებისმიერს, რომელიც იბადება დედამიწაზე. ამასვე მიეკუთვნება ქალისა და კაცის ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ ვეძახით ქორწინებას, ასევე ბავშვების დაბადება და მათი აღზრდა“.

ბუნებითი სამართალი ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი წყაროა მსოფლიო იურიდიული კულტურისა. სწორედ ამ კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების მთელი რიგი სოც-პოლიტიკური პროექტები, სამართლებრივი სახელმწიფო და თვით ლიბერალიზმის იდეოლოგიაც(!).

მედეა თავდიშვილი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სამხრეთი კავკასიის ენერგია

ამერიკის სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია Stratfor (Strategic Forocastung) წერს იმის შესახებ, თუ რამდენად ახდენს გავლენას კავკასიაზე ამ ცოტა ხნის წინათ დადებული შეთანხმება ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ. ირანის გაზის პერსპექტივის შესახებ სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში, „გაზპრომის“ გავლენის გაძლიერების შესახებ ამ ქვეყნებში ჩვენ ვესაუბრეთ სომხეთის პოლიტიკური და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორს აგასი ენოკიანს.

კატერინა პროკოფიევა: აგასი, „გაზპრომი“ ცდილობს, უკანასკნელ ხანებში განამტკიცოს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში, და ამ აქტიურ მცდელობებს უკავშირებს სანქციების მოხსნას ირანისაგან. სომხეთშიც და საქართველოშიც საუბრობენ ირანთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ, რაც რუსეთს არ მოსწონს. ამავე დროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ დაადასტურა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება „გაზპრომთან“ კომერციულ მიწოდებასთან დაკავშირებით. სომხეთის მთავრობამ კი დაადასტურა, რომ რუსეთის კომპანია მონოპოლიურად იმუშავებს ელექტროენერგეტიკის ექსპორტთან დაკავშირებით ირანში. როგორ შეიძლება ეს აისახოს ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე და საგარეო-პოლიტიკურ ვექტორზე? მოდით, დავიწყოთ სომხეთიდან.

აგასი ენოკიანი: სომხეთში არის გაზსადენი ირანი-სომხეთი, მაგრამ იგი ეკუთვნის იგივე „გაზპრომს“. ესე იგი, თუ ამ მილით გაივლის გაზი, იგი მაინც იმუშავებს რუსეთის სასარგებლოდ. „გაზპრომმა“ შესანიშნავად იცის, რომ ასე თუ ისე ირანი გაიხსნება და გაზის უზარმაზარი მარაგები ზიანს მიაყენებს რუსეთის მიწოდებებს მთელ მსოფლიოში. ამიტომ ისინი ცდილობენ, კი არ გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ უკვე ითანამშრომლონ ირანთან, და მოვლენათა უკანასკნელი განვითარებასაც მე, უწინარეს ყოვლისა, ამას ვუკავშირებ. რას ვხედავთ? ჩვენ ვხედავთ, რომ არის მესამე ალტერნატივაც – ესაა აზერბაიჯანის გაზი. რუსეთი ცდილობს, მოაწესრიგოს თანამშრომლობა ირანთან, ვინაიდან მისი გაზი, ასე თუ ისე, გაივლის მის მილს და ბარტერის სახით გამოიყენებს ირანის გაზს სომხეთსა და საქართველოში მიწოდებისათვის.

— ირანისთვის განა ხელსაყრელია ამ ენერგომზიდების ექსპორტირება თურქეთის ან სომხეთის გავლით?

— ირანს სურს თავისი ექსპორტის დივერსიფიცირება, ვინაიდან თურქეთის გავლით მისი ექსპორტი გადის მეტად დაძაბულ რეგიონებზე, სადაც ძირითადად ქურთები ცხოვრობენ. მეტად შესაძლებელია, რომ ევროპაში გაზის მიწოდება არ იქნება უწყვეტი, თუ იგი გაივლის თურქეთს.

— ესე იგი სომხეთს აქვს პოტენციალი იმისთვის, რომ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ირანს?

— დიახ, ასპროცენტიანი. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რასაკვირველია, პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც რუსეთთანაა დაკავშირებული. მეორე მხრივ, თუ სომხეთი არ იქნება ევროპაში ერთადერთი პროვაიდერი, იგი, როგორც მინიმუმი, შეიძლება გახდეს მეტად სერიოზული ალტერნატივა თურქული მილისათვის.

— იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთმა და ირანმა მოილაპარაკეს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ და „გაზპრომმა“ შეიძინა უფლება ამ ხაზზე ელექტროენერგიის ექსპორტისათვის, შემდეგ კი დაეუფლება ნავთობსადენის იმ ნაწილს, რომელიც სომხეთს ირანის საზღვართან აკავშირებს. შემდეგ რა იქნება თქვენი აზრით?

— ჩემი აზრით, შემდეგ ირანი კიდევ უფრო გააძლიერებს თავის საქმიანობას. რამდენადაც მე ვიცი, ეს მილი დღემდე არ არის შევსებული ბოლომდე. ესე იგი ვერ იყენებს თავის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას. ჯერ ერთი, იგი შეავსებს ამ მილს, მეორეც, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა მოეწონებათ რუსეთში. რამდენადაც მე ვიცი, ინფრასტრუქტურა იქ გათვლილია ისეთ მილზე, რომელიც სამჯერ უფრო მეტია დიამეტრში, ესე იგი იქ შეიძლება გაჩნდეს სიტუაცია, როდესაც გაზი, რომელიც შემოდის ირანიდან, დაფარავს არა მხოლოდ სომხეთის მოთხოვნებს, არამედ იმუშავებს ექსპორტზეც სომხეთიდან. არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკური განვითარების შესაბამისად, უწინარეს ყოვლისა, რუსეთში, შემდეგ კი – ირანსა და დასავლეთს შორის, იგი სულ უფრო და უფრო მეტი გაზის ექსპორტირებას მოახდენს ამ მიმართულებით.

— Stratfor წერს, რომ მოსკოვს აშინებს იმის შესაძლებლობა, რომ ეკონომიკური სანქციებისაგან გათავისუფლებულ ირანს შეუძლია დაამყაროს უფრო მჭიდრო ურთიერთობანი სომხეთთან და გამოიყვანოს იგი რუსული გავლენის ზონიდან“. იქ საუბარია, რომ კრემლმა წინა ხაზზე გაგზავნა რუსი სომხებიც კარაპეტიანი და აბრამიანი. სამველ კარაპეტიანი არის „ტაშირის“ კომპანიების ჯგუფის მფლობელი, რომელმაც შეიძინა კომპანია „სომხეთის ელექტრული ქსელი“. და, თითქოს, არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი ითანამშრომლებს არა აბრამიანთან, რომელმაც სწორედ დააფუძნა ახალი პარტია და მზადაა ჩაერთოს სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რა შანსები აქვს ამ კავშირს, თქვენი აზრით?

— ჯერ ერთი, ამას უნდა შევხედოთ იმ თვალსაზრისით, რომ, როგორც საქართველოს შემთხვევაში, როდესაც, როგორც ქართველები ამტკიცებენ, რუსეთმა გაგზავნა ქართული წარმომავლობის თავისი ოლიგარქი ივანიშვილი საქართველოში, რათა ჰქონოდა იქ პოლიტიკური გავლენა, სომხეთში ჩვენ უკვე ვხედავთ მესამე სომხური წარმომავლობის რუს ოლიგარქს, რომელიც აქტიურად ერთვება სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენთან ეს იყო რუბენ ვართანიანი – ასევე რუსი ოლიგარქი, რომელმაც აქ ააშენა უნივერსიტეტი, რაღაც ტურისტული კომპლექსი, და ამით ერთგვარად ჩაერთო სომხეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორეც ეს არის სამველ კარაპეტიანი, რომელმაც სომხეთისათვის იყიდა ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი სტრუქტურა „სომხეთის ელექტროქსელები“ და, მესამეც ჩვენ ვხედავთ აბრამიან არას, რომელმაც გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძნელია ჯერჯერობით ამის შეფასება, ვინაიდან, ჩვენ ვხედავთ არა აბრამიანის განცხადებების ყოველმხრივ კრიტიკას, რომელსაც სომხეთში აბსოლუტურად არანაირი მედიარესურსი არ გააჩნია. ვფიქრობ, რომ მას ამჟამად არც პოლიტიკური რესურსები გააჩნია – მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა სომხეთის პოლიტიკური ძალების რეკრუტირება. ესე იგი გამოდის ისეთი სიტუაცია, რომ ისინი თითქოს არიან სტარტზე, მზად არიან, ჩაერთონ სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი სადღეისო არაა, უფრო სახვალიოა. თანაც არა საზეგიო – სწორედ სახვალიო.

— სერჟ სარგსიანი და გიორგი მარგველაშვილი ამ ცოტა ხნის წინათ ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში და ისაუბრეს ურთიერთმოქმედებების შესახებ გაზის სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობაში, მათ შორის, ირანიდანაც. შედეგად რას მიაღწიეს მათ – არ იტყობინებიან, მაგრამ რაღაცამდე ისინი უნდა მისულიყვნენ თქვენ აზრით?

— აქ შეიძლება იყოს ორი ვარიანტი: საქართველო წყვეტს ან ირანის გაზის სასარგებლოდ, ან აზერბაიჯანის გაზის სასარგებლოდ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი ცდილობს, იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ არაფერი დაკარგოს არც პირველ და არც მეორე ვარიანტში. ესე იგი პირველ შემთხვევაში ირანის გაზი მაინც მიდის რუსეთის მილის გავლით, მეორე შემთხვევაში დღეისათვის აზერბაიჯანს საკმარისად აკონტროლებს რუსეთი. აზერბაიჯანის მთავრობის განცხადების მიუხედავად, ჩვენ ვიცით, რომ აზერბაიჯანის გაზის მარაგები არც ისე დიდია, თუმცა ისინი ამბობენ, რომ 100 წლის განმავლობაში შეუძლიათ გაზით უზრუნველყონ საქართველოც და ევროპაც კი.

— დიახ, გასულ კვირას გაიმართა ალიევის მარგველაშვილთან შეხვედრა და როგორლაც მან იგი ამაში დაარწმუნა. ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არის ბლეფი?

— მე აზერბაიჯანის გაზი არ გამიზომია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იქ არის ბლეფის დიდი ნაწილი. აზერბაიჯანის ნავთობი არც ისე ახალია, ესე იგი მისგან გამოიყოფა არც ისე ბევრი გაზი, და ამიტომ არ ვფიქრობ, რომ იქ არის გაზის საკმარისი ოდენობა. სხვათა შორის, ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქართველოში ხდება აზერბაიჯანის გაზისა და რუსეთის გაზის საკითხის არა ენერგეტიკული გადაწყვეტა, არამედ პოლიტიკური.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

ნატოს მასშტაბური სწავლებები სამხედროების მონაწილეობით 10 ქვეყნიდან იწყება ლატვიასა და ლიტვაში

ლატვიაში იწყება ერთვნული შეიარაღებული ძალებისა და ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალების ერთობლივი მანევრები. მათში 500-ზე მეტი უცხოელი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. ლიტვაში გაიმართება „რკინის მახვილის“ მანევრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 2000 სამხედრო მოსამსახურე ალიანსის წევრი ქვეყნებიდან.

ჟურნალისტებმა გაიგეს რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კიბერშეტევის შესახებ წყალქვეშა ნავების მშენებლობაში ავსტრალიის შესაძლო პარტნიორებზე

დამოუკიდებელმა სენატორმა ნიკ ქსენოფონმა განაცხადა, რომ ავსტრალიის მომავალი წყალქვეშა ხომალდის პროექტი ჩავარდნის საფრთხეშია. ადგილობრივი გამოცემები წერენ ასევე ამის შესახებ. იტყობინებიან, რომ ასეთი შეტევა უკვე განხორციელდა საფრანგეთზე, გერმანიასა და იაპონიაზე, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ 50 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტზე.

რუსეთი სათავეში ჩაუდგა დიდი ბრიტანეთის ერთვნული უშიშროების მთავარი საფრთხეების სიას

ბრიტანული ერისათვის საფრთხეების წყაროების ჩამონათვალში შედის არასტაბილურობა, რომელიც გამოწვეულია მასობრივი მიგრაციით, ტერორიზმითა და კერძოდ, „ისლამური სახელმწიფოს“ ექსტრემალური დაჯგუფების რადიკალიზაციით, აგრეთვე ისეთ დაავადებათა გლობალური გავრცელების ალბათობით როგორიცაა ებოლას ციება-ცხელება.

ბუქარესტის ღამის კლუბში ხანძრის დროს დაღუპულთა რიცხვი 45-მდე გაიზარდა

ხანძარი მოხდა 30 ოქტომბერს ჯგუფ Coodbye to Cravity -ის უფასო როკ-კონცერტზე „კოლექტივის“ კლუბში. შენობაში დაახლოებით 400 კაცი იმყოფებოდა. წარმოდგენის დროს ორგანიზატორებმა აანთეს ფეიერვერკი, რომელიც მოხვდა ჭერში და ელექტროტექნიკაში, შედეგად დაიწყო ხანძარი.

ხორვატიის ოპოზიციამ განაცხადა პარლამენტის არჩევნებზე თავისი გამარჯვების შესახებ

ხორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობის ლიდერმა ტომისლავ კარამარკომ განაცხადა ოპოზიციის გამარჯვების შესახებ პარლამენტის არჩევნებზე. წინასწარი მონაცემებით, ხორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობა და კოალიცია მიიღებენ 61 ადგილს 151 ადგილიან პარლამენტში.

ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები მზად არიან, გააგრძელონ ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ

ამ საკითხის შეთანხმება იგეგმება 2015 წლის 18 დეკემბრის სამიტზე. ვარაუდობენ, რომ შეზღუდვითი ზომების მოქმედების ვადა გახანგრძლივდება კიდევ ნახევარი წლით. ევროკავშირმა, როგორც მისი ხელმძღვანელობა ფიქრობს, შავი სიების გაუქმება დაუკავშირა უკრაინის შესახებ მინსკის შეთანხმებათა სრულ რეალიზაციას. მაგრამ ამ დროისათვის რუსეთმა ეს პირობები არ შეასრულა.

ლუგარის ლაბორატორია

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რიჩარდ ლუგარის სახელობის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია თბილისის გარეუბანში, ე.წ. ალექსეევკის დასახლებაში 2011 წელს პომპეზურად გაიხსნა და მას შემდეგ ამ ლაბორატორიის ირგვლივ მითქმა-მოთქმა არ წყდება.

რა მიზნით გაიხსნა ლუგარის ლაბორატორია საქართველოში, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს მისი არსებობა ქვეყნისთვის და ვინ უზრუნველყოფს ლაბორატორიაში არსებული შტამების დაცვას და ჩვენს უსაფრთხოებას? — ამ საკითხების განსახილველად გლობალური კვლევების ცენტრმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კონფერენცია გამართა. „ლუგარის ლაბორატორია — საექსპერტო ხედვა“ ასე უწოდეს ორგანიზატორებმა კონფერენციას, თუმცა მასში არა მარტო ექსპერტები, არამედ პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:

„პერიოდულად ჩნდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნას აპირებდნენ. ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც, რომლებიც შიშობდნენ, რომ დივერსიის ან ტერაქტის შემთხვევაში ქვეყანაში სასიკვდილო ვირუსები გავრცელდებოდა.

როგორც ირკვევა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, ამ ლაბორატორიას ერთი დღე არ უმუშავია და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გასაღიზიანებლად კეთდებოდა. ამერიკელი სენატორის, ლუგარის სახელიც ამიტომ დაარქვა სააკაშვილმა ლაბორატორიას და ის სახელმწიფო დაზვერვის სამსახურს დაუქვემდებარა. სინამდვილეში, 2013 წლამდე ლაბორატორიაში მეცნიერები არც შესულან. ვფიქრობ, ცალკე კვლევას იმსახურებს ის, თუ რით იყო დაკავებული ეს ულტრათანამედროვე ლაბორატორია 2011-2013 წლებში, თუკი მედიკოსები და ბიოლოგები იქ არც კი შესულან.

უდავო პოზიტივად უნდა შეფასდეს ის, რომ ლაბორატორია, რომელიც „ავტონომიურ ცურვაში“ იყო გაშვებული სააკაშვილის მიერ, 2013 წელს, იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაექვემდებარა და სამხედროდან სამოქალაქო ობიექტად იქცა“.

გიორგი მდივანი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წარმომადგენელი:

„ლუგარის ლაბორატორიის მსგავსი ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს, მაგალითად, ტაილანდში, ჩინეთში, კენიაში, გვატემალაში, ეგვიპტეში, ყაზახეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკასა და ბანგლადეშში, თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ქვეყნებში არსებულ ლუგარის ცენტრებზე ინფორმაცია დახურულია და მათ შესახებ ინტერნეტში ვერაფერს მოიძიებთ. გარდა ამისა, ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში არსებული ლაბორატორია მჭიდროდ თანამშრომლობს უოლტერ რიდის უნივერსიტეტთან, რომელიც, გაგიკვირდებათ და, არა კვლევითი და სამეცნიერო პროფილის, არამედ სამხედრო პროფილისაა და ინფორმაცია მის შესახებაც მიუწვდომელია“.

ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:

„კონფერენციაზე დაისვა კითხვა, რატომ დახარჯა ამერიკამ 300 მილიონი აშშ დოლარი მაშინ, როდესაც ყველამ ვიცით, რომ ამხელა თანხას ტყუილუბრალოდ არც ერთი ქვეყანა არ დახარჯავდა. ბუნებრივია, ამერიკას აქვს თავისი ინტერესები, ვინაიდან საქართველო და კავკასია მასობრივი განადგურების იარაღის შემცირებისთვის საკმაოდ მოწყვლადი არეალია. მაგალითად, 1998 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ისლამურ რადიკალურ ჯგუფებს ჰქონდათ კონკრეტული მიზანი, ხელში ჩაეგდოთ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი. გარდა ამისა, საქართველო განიხილება როგორც შავი ტრანზიტის, მათ შორის, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ვაჭრობის საკითხებში ერთ-ერთი ეფექტური ქვეყანა.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც რამდენჯერმე ოფიციალურად განაცხადა და ეს „მესიჯი“ მათ არაერთხელ გაუგზავნეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რომლებსაც ისლამ რადიკალებთან საკმაოდ კარგი და თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, რის დამადასტურებელი ფაქტებიც არსებობს.

შესაბამისად, არ მიკვირს, რომ საქართველოში ასეთი ცენტრის შექმნა გადაწყდა და ამაში შემაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან, როგორც ჩანს, არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ საჭირო იყო პრევენციული ზომების მიღება და თავდაცვისა თუ რეგიონული უსაფრთხოების მიზნით ასეთი ლაბორატორია დააარსეს“.

დიმიტრი ლორთქიფანიძე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:

„ნუთუ არ შეიძლებოდა, მოგვეწვია მეცნიერები, სპეციალისტები, რომლებიც იტყოდნენ, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში? გვაინტერესებს, რა ტიპის კვლევები ტარდება, მიმდინარეობს თუ არა ლუგარის ლაბორატორიაში სახიფათო შტამებთან მუშაობა და, საერთოდ, რა საფრთხის შემცველია ეს ლაბორატორია საქართველოსთვის. ან აგვიხსნან, რა სარგებლობა მოაქვს ამ ლაბორატორიის არსებობას ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მეცნიერების განვითარებისთვის, ხოლო, თუ ეს ლაბორატორია ბიოლოგიური იარაღის საცავია, მოსალოდნელი რისკების არსებობის შესახებაც უნდა ვიცოდეთ.

ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

„რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, პირიქით, ასეთი დონის ლაბორატორია ქვეყნის სიმდიდრეა და ეს ყველაფერი ჩვენი ძირითადი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის დახმარებით ჩამოყალიბდა.

ლუგარის ლაბორატორია კავკასიის რეგიონში არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობების მქონე ლაბორატორია, მას ბიოტექნოლოგიებსა და ბიოსამედიცინო კვლევებში უნიკალური შესაძლებლობები აქვს, რომელიც სხვადასხვა მძიმე ინფექციის აღმოჩენას, დიაგნოსტიკას, მეცნიერულ კვლევას გულისხმობს, ვინაიდან ამერიკელები გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხს სერიოზულად უყურებენ და მას გლობალური უსაფრთხოების ნაწილად აღიქვამენ“.

* * *

2011 წლის 18 მარტს თბილისში ამერიკის მთავრობის დაფინანსებით შექმნილი ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორია გაიხსნა. ოფიციალური პირების განცხადებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია, რომელიც 300 მილიონი დოლარი დაჯდა, მოსახლეობასა და ცხოველებში განსაკუთრებით საშიში ინფექციების აღმოსაჩენად, აგრეთვე ეპიდემიური ზედამხედველობისა და სამეცნიერო კვლევებისთვისაა განკუთვნილი.

მსგავსი სახის პროექტები, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში შიშს, ეჭვებს და კიდევ ბევრ კითხვას ბადებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც კითხვები პასუხგაუცემელი რჩება. 300-მილიონიანი პროექტი, რომელსაც ემბრიონშივე გრიფით საიდუმლო დაედო, დღემდე რჩება არა მარტო საქართველოს მოსახლეობის, არამედ მეზობელი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ გახსნის შემდეგ მოკლე დროში ლაბორატორიამ არაერთი უცხოური დელეგაცია მიიღო, ლუგარის ლაბორატორიის გარშემო საუბარი არ ცხრება.

ლაბორატორიის გახსნაზე თავის გამოსვლაში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ რეგიონში ასეთი სტრატეგიული ლაბორატორიის მშენებლობისთვის საქართველო აირჩია. ბიოლოგიური კვლევით ობიექტი მთლიანობაში 8 000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული, საიდანაც 2 500 კვადრატული მეტრი უშუალოდ ლაბორატორიებს ეთმობა. ცენტრი დაკომპლექტებულია ქართველი და ამერიკელი პერსონალით. ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ხაზგასმით დასაწყისშივე იყო საუბარი, არის ის, რომ ლაბორატორია არ იქნება გამოყენებული ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

◎ ალიან-ჩალიანი

„ილია და რელიგიური ტოლერანტობა“

ილიაობის დღესასწაულზე ყვარელში გამოფენა — „ილია და რელიგიური ტოლერანტობა“ გაიხსნა. გამოფენა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზებით გაიმართა.

გამოფენის გახსნას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და მუსლიმთა თემის წარმომადგენლები : რამინ იგიდოვი, იასინ ალიევი, ბეგლარ ქამაშიძე , ებრაული თემიდან- რაბინი ბენსიონ ისრაელაშვილი, სომხური ეკლესიიდან — არქიმანდრიტი რარენ ჰოვჰანისიანი და მართლმადიდებელი ეკლესის წარმომადგენელი, მიტროპოლიტი სერგი ესწრებოდნენ.

გამოფენის გახსნაზე, რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მისასალმებელ სიტყვებში ხაზი გაესვა საქართველოში, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტოლერანტულ გარემოს და იმ დიდ როლს, რაც ამ კუთხით ილია ჭავჭავაძემ შეასრულა. დამთვალიერებლებს, სხვა ექსპონატებთან ერთად, წარუდგინეს ილიასეული ბიბლია და ყურანი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ბიბლია, ყურანი და რელიგიის თავისუფლებისადმი მიძღვნილი კრებული.

ინტერპრესი

◎ ჭიდაობა

ერთა თასზე „ბრინჯაო“ იკმარეს

გასულ უქმეებზე რუსეთის დედაქალაქმა მოჭიდაველთა ერთა თასს უმასპინძლა. საქართველო მხოლოდ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით იყო წარდგენილი, რადგან ამ შეჯიბრებაში მხოლოდ საუკეთესო ექვსეული მონაწილეობდა, ჩვენი „კლასიკოსები“ კი თავიანთი მიღწევებით რჩეულთა შორის ვერ მოხვდნენ.

მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობა წაიყვანა, რუსები და აზერბაიჯანელები კი გადახალისებული გუნდებით ასპარეზობდნენ. ამის მიუხედავად, ისინი ფინალში გავიდნენ.

წილისყრამ ძნელ ჯგუფში მოგვახვედრა – მასპინძელებსა და თურქებს დავუპირისპირდით. **პირველ წრეში ჩვენებმა თურქეთს 5:3 მოუგეს:** ბექა ბუჯიაშვილი (57) – სეზარ აკგული 3:10, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61) – მუნირ რეჯეფ აქთაში 5:1, ზურაბ იაკობაშვილი (65) – სერვეტ ქოსქუნი 11:2, დავით ტლაშაძე (70) – მუსტაფა კაია 4:5, ჯუმბერ ყველაშვილი (74) – სონერ დემირთაში 0:7, სანდრო ამინაშვილი (86) – აჰმეთ ბილიჩი 3:1, ელიზბარ ოდიკაძე (97) – იბრაჰიმ ბოლუქბაში 5:0, გიორგი საკანდელიძე (მძიმე წონა) – ემრე იუნუს დედე – 10:0.

მეორე წრეში საქართველო რუსეთთან 2:6 დამარცხდა: იაკობ მაქარაშვილი – იაკუპ შიხჯამალოვი 8:9, კონსტანტინე ხაბალაშვილი – მურად ნუხკადიევი 11:10, ბუჯიაშვილი – ისმაილ მუსუკაევი – 7:15, ხინჩეგაშვილი – ახმედ ჩაკაევი – 0:11. ოდიკაძე – ომარ სადულაევი 0:11, ტლაშაძე – რასულ ჯუკაევი 3:5, ამინაშვილი – ახმედ მაგომედოვი 0:5, საკანდელიძე – ალან ხუგაევი 3:2.

ბრინჯაოს მედლისთვის საქართველო ბელარუსს დაუპირისპირდა და 6:2 გაიმარჯვა: ბექა ლომთაძე – ანდრე კომარი 8:0, ომარ გუსოშვილი – ომარგაჯი მაგომედოვი 6:0, ყველაშვილი – რასულ ტიხაევი 11:0, ბუჯიაშვილი - დიმჩიკ რიმჩინოვი 0:10, იაკობაშვილი – ვიქტორ სერადა 12:0, ტლაშაძე – ანდრეი კარპაჩი 10:0. ამინაშვილი – ალექსანდრ გუშტინი 0:10, საკანდელიძე – ვადიმ შვედოვი 3:0. უნდა ითქვას, რომ პირველი შემადგენლობით არც ბელარუსები გამოდიოდნენ.

„ერთა თასი“ თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრებმა აზერბაიჯანელთა ძლევით (5:3) მოიპოვა. ბერძნულ-რომაულშიც მთავარი პრიზი მასპინძლებს ერგოთ.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ერთა თასზე „ბრინჯაო“ იკმარეს

გასულ უქმეებზე რუსეთის დედაქალაქმა მოჭიდაველთა ერთა თასს უმასპინძლა. საქართველო მხოლოდ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით იყო წარდგენილი, რადგან ამ შეჯიბრებაში მხოლოდ საუკეთესო ექვსეული მონაწილეობდა, ჩვენი „კლასიკოსები“ კი თავიანთი მიღწევებით რჩეულთა შორის ვერ მოხვდნენ.

მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობა წაიყვანა, რუსები და აზერბაიჯანელები კი გადახალისებული გუნდებით ასპარეზობდნენ. ამის მიუხედავად, ისინი ფინალში გავიდნენ.

წილისყრამ ძნელ ჯგუფში მოგვახვედრა – მასპინძელებსა და თურქებს დავუპირისპირდით. **პირველ წრეში ჩვენებმა თურქეთს 5:3 მოუგეს:** ბექა ბუჯიაშვილი (57) – სეზარ აკგული 3:10, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61) – მუნირ რეჯეფ აქთაში 5:1, ზურაბ იაკობაშვილი (65) – სერვეტ ქოსქუნი 11:2, დავით ტლაშაძე (70) – მუსტაფა კაია 4:5, ჯუმბერ ყველაშვილი (74) – სონერ დემირთაში 0:7, სანდრო ამინაშვილი (86) – აჰმეთ ბილიჩი 3:1, ელიზბარ ოდიკაძე (97) – იბრაჰიმ ბოლუქბაში 5:0, გიორგი საკანდელიძე (მძიმე წონა) – ემრე იუნუს დედე – 10:0.

მეორე წრეში საქართველო რუსეთთან 2:6 დამარცხდა: იაკობ მაქარაშვილი – იაკუპ შიხჯამალოვი 8:9, კონსტანტინე ხაბალაშვილი – მურად ნუხკადიევი 11:10, ბუჯიაშვილი – ისმაილ მუსუკაევი – 7:15, ხინჩეგაშვილი – ახმედ ჩაკაევი – 0:11. ოდიკაძე – ომარ სადულაევი 0:11, ტლაშაძე – რასულ ჯუკაევი 3:5, ამინაშვილი – ახმედ მაგომედოვი 0:5, საკანდელიძე – ალან ხუგაევი 3:2.

ბრინჯაოს მედლისთვის საქართველო ბელარუსს დაუპირისპირდა და 6:2 გაიმარჯვა: ბექა ლომთაძე – ანდრე კომარი 8:0, ომარ გუსოშვილი – ომარგაჯი მაგომედოვი 6:0, ყველაშვილი – რასულ ტიხაევი 11:0, ბუჯიაშვილი - დიმჩიკ რიმჩინოვი 0:10, იაკობაშვილი – ვიქტორ სერადა 12:0, ტლაშაძე – ანდრეი კარპაჩი 10:0. ამინაშვილი – ალექსანდრ გუშტინი 0:10, საკანდელიძე – ვადიმ შვედოვი 3:0. უნდა ითქვას, რომ პირველი შემადგენლობით არც ბელარუსები გამოდიოდნენ.

„ერთა თასი“ თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრებმა აზერბაიჯანელთა ძლევით (5:3) მოიპოვა. ბერძნულ-რომაულშიც მთავარი პრიზი მასპინძლებს ერგოთ.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

ნააგო, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-8 ტურის შეხვედრები გათამაშდა. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა „შევარდენზე“ ერთპიროვნულ ლიდერ გორის „ჯიქისა“ და აუტსაიდერ რუსთავის „ხარების“ პაექრობა. პირველი ტაიმის ბოლოს ტაბლოზე რაგბისთვის უჩვეულო ორი ნული ენთო. შესვენების შემდეგ „ჯიქმა“ ლელო გაიტანა, თუმცა გარდასახვა არაზუსტი გამოდგა. „ხარებმა“ ორი საჯარიმოთი უპასუხა და შეხვედრაც 6:5 მოიგო. მარცხის მიუხედავად, „ჯიქმა“ ლიდერობა შეინარჩუნა.

ერთქულიანი სხვაობით დასრულდა „ლოკომოტივისა“ და „აკადემიის“ ორთაბრძოლაც. პირველ ტაიმში მეტოქის ზუსტ არეკნსა და საჯარიმოს რკინიგზელებმა ტექნიკური ლელოთი და უნაკლო გარდასახვით უპასუხეს. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა თითო საჯარიმო გაიტანეს და მატჩიც ასე დასრულდა – 10:9 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.

გათამაშების ცხრილში ერთპიროვნულ ლიდერს მჭიდროდ მიუახლოვდა „ბათუმი“, რომელმაც „არმიას“ სოლიდური სხვაობით აჯობა – 36:15. არადა, პირველი ტაიმი არმიელებმა 9:8 მოიგეს. ამ გამარჯვებით ზღვისპირელებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

VII ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დასრულდა: „ლელო“ – „ყოჩები“ 28:24, „არმაზი“ – „აია“ 18:24.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ჯიქი“	8	6	0	2	+64	28
„ბათუმი“	8	6	0	2	+36	27
„აია“	8	5	1	2	+25	24
„ლელო“	8	5	1	2	+22	23
„ლოკომოტივი“	8	5	0	3	+16	23
„ყოჩები“	7	4	0	3	+20	19
„აკადემია“	8	3	0	5	-32	15
„ხარები“	8	2	0	6	-60	10
„არმია“	8	1	1	6	-47	10
„არმაზი“	7	0	1	6	-44	6

IX ტური (14-15 ნოემბერი). „აია“ – „აკადემია“, „ლოკომოტივი“ – „ლელო“, „ყოჩები“ – „არმია“, „ბათუმი“ – „ჯიქი“, „ხარები“ – „არმაზი“.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

როსღა გველირსოს ჩვენ გამარჯვება?!

დღეს საკალათბურთო კლუბ „ვითას“ წევრებს ხელფასები დაურიგდებათ. სამწუხაროდ, პრემიებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია – პაველ გოოგეს გუნდმა ვითიბის გაერთიანებულ ლიგაში ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა წააგო.

ყაზანის „უნიქსთან“ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მატჩის შედეგი – 76:104, ერთი შეხედვით, ბრძოლის უთანასწორობაზე მეტყველებს, მაგრამ იყო ეპიზოდი, როცა მრისხანე მეტოქეს ოთხ ქულამდე მივუახლოვდით – 44:48, ხოლო ბოლო პერიოდის წინ მხოლოდ 62:68-ს ვაგებდით.

სწორედ დასკვნით პერიოდში მოხდა მოსახდენი – გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი.

პარტნიორებს ლენგფორდმა (31 ქულა), ლიხოდეიმ და პანკრაშოვმა ულიდერეს, მასპინძელთაგან კი საუკეთესონი კარტერი, ჩლაიძე და ჰენრი იყვნენ.

* * *

სუპერლიგა. IV ტური „ბათუმი“ – „რუსთავი“ 92:64, „დინამო“ – „აკადემია“ 77:76, „ქუთაისი“ – „სოხუმი“ 69:65, „ოლიმპი“ – „მგზავრები“ 78:72.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „რომა“ – „ლაციო“ 2:0, „მილანი“ – „ატალანტა“ 0:0, „ტორინო“ – „ინტერი“ 0:1, „ნაპოლი“ – „უდინეზე“ 1:0, ;სამპდორია“ – „ფიორენტინა“ 0:2, „ემპოლი“ – „იუვენტუსი“ 1:3.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ვილიარეალი“ 3:0, „სევილია“ – „რეალი“ 3:2, „ატლეტიკო“ – „ხიხონი“ 1:0, „სელტა“ – „ვალენსია“ 1:5, „ბილბაო“ – „ესპანიოლი“ 2:1.

ინგლისი. „არსენალი“ – „ტოტენჰემი“ 1:1, „მანჩესტერი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 2:0, „ასტონ ვილა“ – „სიტი“ 0:0, „სტოკი“ – „ჩელსი“ 1:0, „ლესტერი“ – „უოტფორდი“ 2:1, „ლივერპული“ – „კრისტალ პალასი“ 1:2.

გერმანია. „ბაიერნი“ – „შტუტგარტი“ 4:0, „დორტმუნდი“ – „შალკე“ 3:2, „ლევერკუზენი“ – „კიოლნი“ 1:2, „მაინცი“ – „ვოლფსბურგი“ 2:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ტულუზა“ 5:0, „ლიონი“ – „სენტ ეტიენი“ 3:0, „ბორდო“ – „მონაკო“ 3:1, „მარსელი“ – „ნიცა“ 1:2.

პოლანდია. „ფეიენოორდი“ – „აიაქსი“ 1:1.

ბელგია. „სტანდარტი“ – „ანდერლეხტი“ 1:0.

რუსეთი. „კრასნოდარი “ – ცსკა 2:1, „ლოკომოტივი“ – „ზენიტი“ 2:0.

კობა კობახიძე

◎ ტრადიცია

„შუქურა“ დაღვინებულა

ერთადერთი კლუბი, რომელმაც ოქტომბერში უდანაკარგოდ ითამაშა და ეროვნული ჩემპიონატის ოთხივე მატჩი მოიგო, ქობულეთის „შუქურაა“.

სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა „ლიდერბეთის“, „ბიბლუსის“, ჟურნალისტ გია ტუხაშვილისა და გაზეთ „ლელოს“ ტრადიციული პროექტის მორიგი გამარჯვებულის ბედი – ღვინობისთვის საუკეთესო მწვრთნელად ზღვისპირელთა თავკაცი თემურ შალამბერიძე დასახელდა.

რაც შეეხება ნომინაციას „საუკეთესო ფეხბურთელი“, ამჯერად ორგანიზატორებმა უპირატესობა გორის „დილას“ თავდამსხმელს ოთარ მარცვალაძეს მიანიჭეს, რომელსაც არცერთ შეხვედრაში არ დაუტოვებია მინდორი უგოლოდ.

შეგახსენებთ, რომ მან 21 წლისამ მოიპოვა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირისა და სეზონის საუკეთესო მოთამაშისათვის განკუთვნილი პრიზები, დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში. შემდეგ იყო ხანგრძლივი ლეგიონერობა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. და აი, სამშობლოში დაბრუნებულმა კვლავ შეახსენა თავი გულშემატკივრებს და, ვინ იცის, იქნებ კახი ცხადაძემ კიდევ ერთხელ მისცეს სანაკრებო შანსი.

გიორგი შოთაძე

◎ კრივი

რვიდან სამი გამოირჩა

საქართველოს რვა წარმომადგენელი მონაწილეობდა ანაპაში გამართულ სკოლის მოსწავლე მოკრივეთა ევროპის პირველობაში, რომელშიც 24 ქვეყნის 214 სპორტსმენი იბრძოდა ჯილდოებისთვის. ჩვენებურთაგან თბილისელმა ტიგრან შატბეროვმა (44.5 კგ) იყოჩაღა – ზედიზედ სძლია სლოვაკ ალექსანდრ ტანკოს, იტალიელ ვინჩენცო დელა გატას, რუს რუსლან მარტინენკოს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. შატბეროვის გარდა, ქართველთაგან მეოთხედფინალში გიორგი ლაზარაშვილმა (41,5 კგ) გერმანელი სადეკ ლაზემი დაამარცხა, ხოლო გიორგი წაწალაშვილმა (50) დავიდე სარაიელოს (იტალია) აჯობა, თუმცა, ნახევარფინალში ისინიც დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლებს დაყაბულდნენ.

რაც შეეხებათ დანარჩენ ქართველ მოკრივეებს, ნიკა მოდებაძემ პირველსავე წრეში წააგო ბელარუს ივან მელნიკოვთან, ხოლო მეოთხედფინალში დანებდნენ მეტოქეებს დავით გვასალია (46), ივერი გრიგოლაშვილი (52), მურაზ ანესაშვილი (72) და მათე კვანტალიანი (+76).

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ნახევარფინალით დაკმაყოფილდა



ანტალიაში დასრულებულ ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იან ტურნირში თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა სამი მეტოქე – რუსი ალექსანდრ ბობორიკინი (6:0, 6:1), ბელგიელი ბენჟამინ დოე (6:3, 6:3) და რუმინელი ვასილი ანტონესკუ (6:3, 4:6, 6:3) ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ნახევარფინალში ავსტრიელ გაბრიელ დიარას (6:7, 2:6) ვერ გასცდა. წყვილებში იაროსლაუ შილასთან (ბელარუსი) ერთად იგი მეოთხედფინალში ვადიმ ალექსეენკოს (უკრაინა) და რომან ხასანოვის (ყაზახეთი) დუეტთან დამარცხდა – 6:3, 5:7, 6:10.

მეტრეველი ამ კვირას ანტალიაშივე ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებმება, რომელშიც მეორე ნომრად იქნება განთესილი.

თამაზ პატარაია

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, ჯუმბერ გონაშვილი** დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელს, ყოფილი სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის ყოფილ თავკაცს, შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ **როლანდ იოსელიანს.**

◎ მილოცვა

მეგობარს, თამაზ ძოწენიძეს

ძოწენიძე საკმაოდ ცნობილი, ჭეშმარიტი იმერული გვარია საქართველოში, მოსახლეობის ბოლო აღწერით ეს გვარი იმერეთის რეგიონში მცხოვრებთა შორის რაოდენობით პირველ სამეულში ვერ მოხვდა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა რომ საკმაოდ მაღალია, ამაში, მგონი, ეჭვი არავის შეეპარება: — აკადემიკოსები და პროფესორები, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები, შესანიშნავი ინჟინრები და ექიმები, ქართული კულტურისა და ხელოვნების სასიქადულო წარმომადგენლები და კიდევ, მრავალი სხვანი და სხვანი.



პირადად მე მეამაყება, რომ აგერ მეშვიდე ათეული წელია, ერთ-ერთი მათგანი, ნაღდი რიონისპირელი, ქუთათურების ღვიძლი შვილი, ბატონი თამაზ ძოწენიძე ჩემი მეგობარია.

ცოტა შორიდან კი მიხდება დღეს ამის გაკეთება, მაგრამ მაინც ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით შემიძლია ჩემს მეგობარს, შესანიშნავ პიროვნებას ბატონ თამაზს მივულოცო — 80 წლის იუბილე!

„გეპეიში“ ერთად გეოლოგიას ვეუფლებოდით, შემდეგ ორივემ პროფესია შევიცვალეთ. ბატონი თამაზი თვალსაჩინო მშენებლი, მაღალი რანგის ხელმძღვანელი გახდა, მე კი სპორტი მექცა ბედად. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობიდან მოყოლებული ჩვენ სულ ერთად ვართ და მხარი-მხარ ვდგავართ. თანამდებობებმა თუ რანგებმა, მიღწევებმა და სხვადასხვა ქვეყანებში ცხოვრებამ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა საბედნიეროდ, ვერ გამოიწვია ეროზია ჩვენს გულწრფელობაში, ადამიანობაში და კაცურ სიყვარულში. იმპერატივად აღიარებული საბაზრო ურთიერთობა, ვერ იქცა ჩვენი მეგობრული ურთიერთობის ალტერნატივად.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ოჯახებით, ჩვენი შვილებით, შვილიშვილებით, რომლებმაც არ უღალატეს ჩვენს ტრადიციებს და სულიერ ფასეულობებზე დაყრდობით გააგრძელეს ერთმანეთთან მეგობრობა.

ჩემო თამაზ, ჩვენი ხნის ადამიანებმა ამაზე მეტი რა უნდა ინატრონ? ჯანმრთელობას და მრავალ ბედნიერ დღეს გისურვებ ცხოვრებაში შენს ლალისთან, ოჯახიშვილებთან და ახლობლებთან ერთად. იხარე და იბედნიერე, შენ დაიმსახურე ეს! მრავალჟამიერ, ჩემო თამაზ!

უფალი იყოს შენი მფარველი!

გეხვევი, გკოცნი შენი
სულიკო როგავა
ოჯახით.
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, სეოკ-ის , რუსეთის ოკ-ის და „დინამოს“ საპატიო ნიშნის კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი. ქ. მოსკოვი, 10.11.2015.

◎ რეიტინგი

თბილისი ევროპის ყველაზე მიმზიდველი ქალაქების ათეულში მოხვდა

6 ნოემბერი/2015

თბილისი ბრიტანული გამოცემა „ტელეგრაფის“ მიერ შედგენილ ევროპის ყველაზე მიმზიდველი, თუმცა ტურისტებს შორის ნაკლებად პოპულარული ქალაქების ათეულში მოხვდა. გამოცემა მკითხველსურჩევს, აუცილებლად იმოგზაურონ ამ ქალაქებში.

„თბილისს მკაფიოდ აქვს გადაწყვეტილი ევროპისკენ სვლა. თბილისი ის ქალაქია, რომელიც საბოლოოდ დაუბრუნდა საწყისს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნახეთ ეს ქალაქი იმაზე ადრე, ვიდრე სხვა ნახავს“, — წერს „ტელეგრაფი“.

ბრიტანული გამოცემის რეიტინგში პირველი ადგილი იტალიის ქალაქ ბერგამოს ერგო. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ტურისტებმა აუცილებლად უნდა ნახონ ბერგამო და მისი ულამაზესი ტბები.

გამოცემა ტურისტებს ასევე ურჩევს ესპანური ვიტორია-გასტეისის ნახვას, სადაც რეიტინგის ავტორთა თქმით, მთელი ესპანეთის სული იგრძნობა.

რეიტინგის ათეული ასე გამოიყურება:

1. ბერგამო, იტალია,
2. ვიტორია-გასტეისი, ესპანეთი,
3. ტავრია, პორტუგალია,
4. ოსიეკი, ხორვატია,
5. სკოპიე, მაკედონია,
6. უმეო, შვედეთი,
7. ტრევიზო, იტალია,
8. თბილისი, საქართველო,
9. ნანტი, საფრანგეთი,
10. ბრეგენცი, ავსტრია.

შვილები ქეთევან, ბაია რუხაძეები, ძმისწულები დავით, თამარ, ნინო ნიკურაძეები, რძლები ნანა ტრაპაიძე, ნათელა რუხაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფლორა დავითის ასული ნიკურაძე

დაკრძალვა 10 XI, 14 სთ. გამოსვენება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან ოთარ ჩხეიძის ქუჩა, საბურთალო.

გურამ გოგიაშვილი, გურამ ვაშაკიძე, იური გოგილაძე ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაგვეცვალა აწ გარდაცვლილი ძვირფასი მეგობრის რობერტ ნიკურაძის ასევე ძვირფასი დედმამიშვილი, ჩვენი სამეგობროს საერთო დაია

ფლორა ნიკურაძე

და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახსა და სანათესაოს.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი ოჯახით უდიდესი გულისტკივილით უთანაგრძნობს ოჯახის მეგობარს სს „საქსაშენმეცნიერების“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს ჯემალ (დავით) გაგუნაშვილს, მის ქალ-ვაჟს, მათი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ძვირფასი მეუღლის, დედისა და ბებიის, უსათნოესი ქალბატონის

ნანა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო.

სს „საქსაშენმეცნიერების“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გენერალური დირექტორის, აკადემიკოს დავით (ჯემალ) გაგუნაშვილის მეუღლე, დიდებული ქალბატონი, დედა და ბებია, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი

ნანა გიგინეიშვილი-გაგუნაშვილისა

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ზურაბ ლომიძე გულისტკივილით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს ჯემალ (დავით) გაგუნაშვილს მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის

ნანა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვახტანგ, ნათელა, მაია, თეა დავითაიები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ჯემალ (დავით) გაგუნაშვილს მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის

ნანას

გარდაცვალების გამო.

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ უახლოესი მეგობრის, გამორჩეულად კეთილშობილი და სათნო ქალბატონის

ნანა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ჯემალ გაგუნაშვილს, მთელ ოჯახს.

ციალა, ნატა, თემურ ანდრიაძეები.

ზურაბ, თეა, ნესტან, რუსუდან მაჩაიძეები იუწყებიან ბიძაშვილის და ბიძის, კეთილშობილი, პატიოსანი და თავმდაბალი პიროვნების

გოდერძი რაჟდენის ძე მაჩაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

◎ იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ...

ახლა ბინის შესაძენად ყველაზე კარგი დროა

ლარის კურსის ვარდნამ და ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ უძრავი ქონების ბაზარზე დიდი გავლენა იქონია. როგორც უძრავი ქონების სააგენტოებში აცხადებენ, ბინებზე მოთხოვნა 50-60%-ით შემცირდა. მოთხოვნის შემცირებამ ფასის კლებაც გამოიწვია. უძრავი ქონების სააგენტოებში თითქმის ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა, სააგენტოები მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებას უჩივიან.

როგორც უძრავი ქონების სააგენტო „ბერუკას“ მენეჯერმა დავით ბერელიძემ bpn.ge-ს განუცხადა, უძრავ ქონებაზე მოთხოვნა განახევრებულია. „ბოლო რამდენიმე თვეა, ბინებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბინების გაყიდვა შემცირდა როგორც გარე, ისე ცენტრალურ უბნებში. რაც შეეხება ფასებს, დაახლოებით 5%-ით შემცირდა. ქვეყანში ისე გაჭირდა, საშუალო ფენა აღარ გვყავს და გაჭირვება უძრავ ქონებასაც დაეტყო,“ — განაცხადა დავით ბერელიძემ.

უძრავი ქონების კომპანია „მაკლერ.გე“ -ს მენეჯერი ხათუნა შურღაიაც აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში ბინებზე ფასები შემცირდა. „ძირითადი მყიდველები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იპოთეკური სესხის დახმარებით ყიდულობენ უძრავ ქონებას. იქიდან გამომდინარე, რომ სესხი გაიცემა დოლარში, ხოლო მოსახლეობის 99%-ს შემოსავალი აქვს ლარში, ეს პროცესი აფერხებს კრედიტების დამტკიცებას, დამტკიცების შემთხვევაში კი ვერ აუდის კლიენტი გადასახადს. ამ პროცესმა ბინებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. რადგან კრიზისია, კლიენტები ელოდებიან ფასდაკლებას. თუმცა, ვისაც აქვს დანაზოგი, ყველაზე ხელსაყრელი დროა უძრავი ქონების შესაძენად. ბინებზე ფასები 20%-ით შემცირდა. ყველაზე მოთხოვნად უბნად კი კვლავ საბურთლო რჩება, სადაც ფასები და მოთხოვნა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია. გაცილებით რთული მდგომარეობაა ბინების გაქირავების კუთხით, ძირითადი მოთხოვნა დაბალფასიან სეგმენტზეა. მაღალფასიან ბინებს უცხოელები ქირაობდნენ და დღეს მათი მხრიდანაც აღარ არის მოთხოვნა. უცხოელების ნაკადი შემცირებულია, ასევე, შემცირებულია მათი ბიუჯეტი, რამაც ბინების გაქირავების კუთხით პრობლემები შექმნა. ბინის მეპატრონეებს დიდი ხნით აქვთ უძრავი ქონება დაუტვირთავი, რაც არასწორია. ჩვენ ვურჩევთ ბინის მეპატრონეებს, რომ ჯობია გააქირავონ, ვიდრე მაღალბიუჯეტიანი უცხოელის მოლოდინში დაკარგონ ის შემოსავალი, რასაც სთავაზობენ. ბოლო რამდენიმე თვეა, ბინის გაქირავებაზე ფასები 30%-ით შემცირდა, — განუცხადა bpn.ge-ს ხათუნა შურღაიამ.

უძრავი ქონების სააგენტო „კიბე“-ს მენეჯერი ამბობს, რომ ბინებზე მოთხოვნა 70%-ით შემცირდა. „უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა კატასტროფულად შემცირდა. განსაკუთრებით შემცირდა მოთხოვნა მეორად ბინებზე. ძირითადად ის ბინები იყიდება, რომლებსაც დაშენების პერსპექტივა აქვს. ძირითადად, 25 000-დან 35 000 დოლარის ფარგლებში“, — აცხადებენ უძრავი ქონების სააგენტოში.

თიკო გურაშვილი

◎ ახალი ფოლკლორი

მომღერალ-კომპოზიტორ-პოლიტიკოს ხაჩიძეს

ხელი გამოჰკრა ჩიჩიას...
მაგრამ, იცოდე, მაგარი
კვლავ ძველებურად ყლინჯია.
სადაც არ უნდა გაიქცეს,
ის მაინც ჩვენი ხინჯია.
ბლომად დაგტოვათ ინჩები,
თავად მთავარი ბინჩია.
ბაბასაც ტყუილად ელით,
არამცთუ შეგხვდეთ ჩიჩია.

შენი პარტიის სახელი
ამიერიდან გირჩია,
ჩანს, ოდესიდან მაგარმა
შესანიღბავად გირჩია,
რომ ორი ათას თექვსმეტში

ვეფხია ძინძიაური
ქ.დუშეთი

◎ გაფრთხილება!

რაც მოელით, ნახონ!

რა აქცია, რის აქცია?
კარგად ვიცნობთ მის საქციელს
და მართვის წესს,
სიდამპლით რომ ყარდა.
ან ქვეყნიდან
ნახევარი საქართველო გააქცია,
ნახევარიც — ციხეებში ჰყავდა!
რა შეუჩნდა, რა ეშმაკი?
რომ ეს შმაგი აეშაგი*
ოდესაში დაჯდა სატრაბახოდ?
ქცეულებმა საჯაყებად,
„ცოცხოსანმა“ ყაჩაღებმა,
თუ გაბედეს აჯანყება,
რაც მოელით, ნახონ!

ალექსანდრე შენგელია

** „აეშაგი-მსტოვარი, მომხილავი ქვეყნისა (სულხან-საბა)“*

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

◎ ცხოვრების წესი

ბედნიერების ფორმულა

ბანა არის ადამიანი, რომელსაც არ უნდა, რომ ბედნიერად იგრძნოს თავი? და რა არის საჭირო საამისოდ? მკვლევარები აცხადებენ, რომ ამისათვის, თურმე, არცთუ ძალიან ბევრი რამ ყოფილა საჭირო, აუცილებელია მხოლოდ რამდენიმე მარტივი რამის გაკეთება.

აი, თურმე რას შეუძლია ბედნიერების გრძნობის მონიჭება:

ფულს

უფრო სწორად კი მისი გადათვლას. ამასთან, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია იმას, საკუთარ ფულს ითვლით თუ სხვისას. ამერიკელ მეცნიერთა ექსპერიმენტის დროს, მოხალისეთა ერთი ჯგუფი ბანკნოტებს აშრიალებდა, მეორე კი უბრალო ქაღალდებს „ითვლიდა“. პირველი ჯგუფის წევრებს ტონუსი საგრძნობლად აეწიათ, მეორისა კი უწინდელ დონეზე დარჩა.

ახალ ადგილებში სეირნობას

სიცოცხლის სისავსისა და ბედნიერების შესაგძრნებად, თვეში ორჯერ მაინც საჭიროა უცხო ადგილებში გასეირნება. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვეული სურათის შეცვლა დადებით ემოციებს იწვევს.

ხვევნა-კოცნას

მეცნიერებმა დაითვალეს, რომ სრული ბედნიერებისთვის ადამიანს დღეში რვა კოცნა და შვიდი წუთი ვნებიანი ჩახუტება სჭირდება. ამ სასიამოვნო საქმიანობის დროს ორგანიზმში ეგრეთ წოდებული ბედნიერების ჰორმონები — ენდორფინები წარმოიქმნება, რაც ტონუსს გვიწევს.

მეგობრებს

ისინი, ვისაც, სულ მცირე, ათი მეგობარი ჰყავს, თავს იმათზე ბედნიერად გრძნობენ, ვინც ხუთზე ნაკლები მეგობრის პატრონია. მათ შორის, ვისაც ხუთზე ნაკლები მეგობარი ჰყავს, თავს ბედნიერად 40 პროცენტი გრძნობს, ხოლო თუ კაცს ხუთიდან ათ მეგობრამდე ჰყავს, ბედნიერების შანსი 50 პროცენტამდე მატულობს. მაგრამ ყველაზე მეტად ბედნიერების ალბათობა იმათ აქვთ, ვისაც ათზე მეტი მეგობარი ჰყავს.

საუზმეზე კვერცხს

კვერცხი ამინომჟავა ტრიპტოფანს შეიცავს, რომელიც ორგანიზმში სეროტონინად გარდაიქმნება და ტონუსს გვიწევს. ბედნიერებისთვის ორი კვერცხიც საკმარისია, მაგრამ ტაფამწვარი დილაობით უკეთ მოქმედებს, ვიდრე საღამოთი.

ის, რაც გუნებას გვიფუჭებს: ფასტფუდი და ტკბილეული

მათ, ვინც სწრაფი კვების პროდუქციის (ფასტფუდის) ხშირი მომხმარებლები არიან, დეპრესიის განვითარების რისკი 51 პროცენტით ეზრდებათ. რაც უფრო მეტია რაციონში სწრაფი კვების პროდუქტი, მით უფრო მაღალია დეპრესიის საფრთხე, აცხადებენ ექიმები. ანალოგიურად მოქმედებს ტკბილეულიც — ნამცხვრების მოყვარულნი თავს უბედურად იმათზე გაცილებით უფრო ხშირად გრძნობენ, ვისაც ტკბილეული არ უყვარს.

ოქროს სამკაულები

კანადელმა მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ კანთან კონტაქტისას ოქრო ნერვულ სისტემაზე უარყოფით ზემოქმედებას იწყებს: ადამიანს გუნება უფუჭდება და განგაშის ქვეცნობიერი შეგრძნება ეუფლება. ცხადია, სპეციალისტები არ გვირჩევენ ოქროს სამკაულებზე სრულად ვთქვათ უარი, თუმცა კი, მათი ღამით მოხსნის რჩევას იძლევიან.

სოციალური ძსელები

აღმოჩნდა, რომ მეგობრების ინტერნეტ-გვერდების ხშირ-ხშირი ნახვის შედეგად, ბევრს საკუთარი ცხოვრება უინტერესო ეჩვენება და ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს სხვები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ. საბოლოო ანგარიშით ყველაფერი ეს დეპრესიას, მეგობრებისადმი შურისა და ფარული სიძულვილის გრძნობას იწვევს.

სიგარეტი

ყოველი მოწეული სიგარეტი ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს, გაღიზიანებისა და განგაშის გრძნობას იწვევს, რაც, შესაძლოა, დეპრესიაში გადაიზარდოს. 40 წლამდე ასაკის 6,5 ათას ბრიტანელზე ჩატარებული კვლევისას დადგინდა, რომ განგაშის გრძნობა და დეპრესია თამბაქოს მწეველთა 20 პროცენტს აღენიშნება, ხოლო მათში, ვინც თამბაქოს არასდროს ეწეოდა, ეს მაჩვენებელი 10 პროცენტია.

მჯდომარე სამუშაო

სტრესებისა და დეპრესიების განვითარების საფრთხე იმ ხალხში უფრო მაღალია, ვისაც მჯდომარე სამუშაო აქვს. ასეთი სამუშაო კი, ავსტრალიელ მეცნიერთა დაკვირვებით, გაცილებით უფრო უარყოფითად ქალებზე მოქმედებს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რატომ წახვედით პოლიტიკაში?

— აბა შეხედეთ რა ხდება — მთავრობა მარტო თავის თავზე ფიქრობს, განცხრომაში არიან, ფუფუნება, კორუფცია, უსაქმურობა...

— და თქვენ გინდათ ყველაფერ ამას ებრძოლოთ?

— არა, მე ყველაფერ ამაში მონაწილეობა მინდა.

* * *

თუ გასუქების გეშინიათ, ჭამის წინ 50 გრამი კონიაკი დალიეთ — შიშის გრძნობა გაგიქრებათ.

* * *

— თქვენმა ძაღლმა მიკბინა. მე კომპენსაციას მოვითხოვ!

— კი, ბატონო! მე გავაკავებ და თქვენ უკბინეთ.

* * *

- ალო, კომპიუტერული ფირმაა? მე თქვენთან კომპიუტერი ვიყიდე ერთი თვის წინათ.

— ჰო. მერე?

— დაიწვა.

— რა დაიწვა?

— ყველაფერი.

— რა ყველაფერი?

— ყველაფერი დაიწვა.

— ყველაფერი როგორ დაიწვა! მონიტორი დაიწვა? ვინჩესტერი?

— მონიტორიც დაიწვა, ვინჩესტერიც...

— CD-ROM-იც?

— კი, ეგეც, ფლოპიც, მაზერიც...

— ეგ როგორ... რა მოხდა ასეთი?

— ხანძარი იყო ოფისში...

* * *

— მამიკო, სულ „უფულობა, უფულობა“ რომ მესმის, რას ნიშნავს უფულობა?

— ოო, შვილოო... ფული — ეს ბევრი რამეა; ეს შამპანურებია, მაგარი მანქანები, ქალები...

— უფულობა?

— უფულობა ლუდია, ტროლეიბუსია და... დედაშენია...

* * *

— მამიკო, მე რომ შენხელა ვიქნები, შეიძლება რაც მინდა ის გავაკეთო?

— არა შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება.

* * *

ჭიჭიკიას ქუჩაში ძაღლმა უკბინა.

— ვაიმე, ბატონო, შარვალი ხომ არ გაგიხიათ? — ეცა ძაღლის პატრონი.

— არა, ქალბატონო, შარვალი ამიკაპიწა და ისე მიკბინა!

* * *

— ჭიჭიკია აქ ცხოვრობს?

— არა.

— კაცო, შენ ჭიჭიკია არა ხარ?

— მე კი ვარ, მარა ეს ცხოვრებაა?

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე